პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 24 იანვარი 1935 წ. № 2 (4178)

დღეს ნომერში

— 1905 წლის 9 იანვარი („პრავდის“ მოწინავე. 1-ლი გვ.).
— ლენინიზმი იმარჯვებს (1-ლი გვ.).
— ლენინის დღეები ტფილისში (1-ლი გვ.).
— ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიაში მეთამბაქოობის განმტკიცების შესახებ (1-ლი გვ.).
— ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში (მე-2 გვ.).
— ა. ენუქიძის სტატია—ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის (მე-2 გვ.).
— კრებები და მიტინგები, მიძღვნილი ლენინის, ლუქსემბურგის და ლიბკნეხტის ხსოვნისადმი (მე-2 გვ.).
— რაკოშის პროცესი (მე-2 გვ.).
— „კომუნისტის“ ესკადრილია ხარკოვში (1-ლი გვ.).
— ლ. ხალუჩაძის სტატია.—ბელადის დირექტივები (3 გვ.).

საბჭოების სრულიად საკავშირო ყრილობა

საბჭოების სრულიად საკავშირო მეშვიდე ყრილობა გაიხსნება 1935 წლის 25 იანვარს, საღამოს 6 საათზე, კრემლის დიდ სასახლეში

დღის წესრიგი

1. საბჭოთა კავშირის მთავრობის საანგარიშო მოხსენება—მომხსენებელი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.
2. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ამხ. გ. კ. ორჯონიკიძე.
3. მეცხოველეობის განმტკიცების და განვითარების ღონისძიებათა შესახებ—მომხსენებლები ამხ. მ. ა. ჩერნოვი და ამხ. მ. ი. კალმანოვიჩი.
4. მოხსენება საკონსტიტუციო საკითხებზე — მომხსენებელი ამხ. ა. ს. ენუქიძე.
5. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის — საკავშირო საბჭოს წევრების არჩევა და ეროვნებათა საბჭოს წევრების დამტკიცება.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ა. ენუქიძე.

მოსკოვი, კრემლი.
23 იანვარი, 1935 წ.

სანიმუშოდ დავამთავროთ პირუტყვის აღწერა

პირუტყვის საკავშირო აღწერა, რომელიც ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს ... მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს მიანდეს ... [illegible]

... ნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არ ღებულობენ ზომებს პირუტყვის ზუსტად აღრიცხვისათვის, ეს საქმე მათ მხოლოდ აღრიცხვის სა... იმაში, რომ დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებები, განვამტკიცოდ არსებული მიღწევები და გავშალოთ ნამდვილი ოპერატიული მუშაობა მეცხოველეობაში ახალ გამარჯვებათა მოსაპოებლად.

ლენინიზმი იმარჯვებს!

სამგლოვიარო სხდომა დიდ თეატრში

მოსკოვი, 21 იანვარი. 21 იანვარს პროლეტარულმა დედაქალაქმა ... [illegible]

1924—1935.

... რომელიც დიდხანს არ წყდება. ყველანი ფეხზე დგებიან. ყველას თვალი უდიდესი სიყვარულით მიპყრობილია ძვირფასი, საყვარელი სტალინისაკენ.

ამხ. კალინინის სიტყვა

[illegible]

ამხ. ადორაცკი სიტყვა

ამხ. სტეცკის შემდეგ სიტყვა ეძლევა მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ადორაცკის, რომელმაც მოგვითხრო დაწვრილებით, თუ რა მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტმა იმ მხრივ, რომ შეეგროვებინა, დაემუშავებინა და გამოექვეყნებინა ლენინის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, მთელი მისი ... [illegible]

ამხ. სტეცკის მოხსენება

[illegible]

ლენინის დღეები ტფილისში

[illegible]

1905 წლის 9 იანვარი

„პრავდის“ მოწინავე 22/I

სამი ათეული წელიწადი გავიდა იმ დღიდან, როდესაც 1905 წლის ... [illegible]

ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიაში მეთამბაქოობის განმტკიცების შესახებ

მოსკოვი, 21 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამიერ-კავკასიაში 1935 წელს მეთამბაქოობის განმტკიცების შესახებ.

1935 წელს ამიერ-კავკასიაში ყვითელი თამბაქოს დასარგავი ფართობი დაწესებულია 24.980 ჰექტარის ოდენობით, აქედან: აფხაზეთში—12 ათასი ჰექტარი, საქართველოში—7.200 ჰექტარი, აზერბეიჯანში—3.320 ჰექტარი, სომხეთში—2.260 ჰექტარი. თამბაქოს მოსავლიანობა საშუალოდ ამიერ-კავკასიაში დაწესებულია 8 ცენტნერი ჰექტარზე და აფხაზეთში — არანაკლებ 7 ცენტნერისა ჰექტარზე.

სახელმწიფო კონტრაქტაციის წესით ერთი ჰექტარიდან თამბაქოს ჩაბარების ნორმები კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში მიმდინარე წლისათვის რჩება 1934 წლის დონეზე.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა ჩაატაროს მიმდინარე წელს თამბაქოს ახალი ფართობების ამოძირკვა 500 ჰექტარის რაოდენობით,ააგოს ახალი სათბურები ერთი ათას ჰექტარის ფართობზე, შეაკეთოს არსებული სათბურები და თამბაქოს საშრობები, აგრეთვე ჩაატაროს აგროკულტურული ღონისძიებანი და კადრების მომზადება.

სახკომსაბჭომ აგრეთვე განსაზღვრა იმ მასალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სათბურებისა და თამბაქოს საშრობების მშენებლობისათვის და რომელიც უნდა გამოჰყოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საკავშირო მიწსახკომის ფონდების ხარჯზე, და დააწესა იმ თანხების ოდენობა, რომლებიც უნდა მოხმარდეს მეთამბაქოობის განვითარების დაკრედიტებას და კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებას (ადს).

„კომუნისტი“ ესკადრილი ხარკოვში

ხარკოვი, 22 იანვარი ... [illegible]

ლენინის, რ. ლუქსემბურგის და კ. ლიბკნეხტის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებები და მიტინგები უცხოეთში

შეერთ. შტატები

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. ნიუ-იორკის უდიდეს დარბაზში „მედისონ სკუერ გარდენში" გაიმართა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგს დაესწრო 22 ათასზე მეტი მუშა. რამდენიმე ათასი კაცი იძულებული გახდა ქუჩაში დარჩენილიყო, რადგან დარბაზში ყველა მსურველი ვერ დაეტია.

მიტინგზე გამოვიდენ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბროუდერი, ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ფორდი. ორივე ორატორმა ხაზი გაუსვა ლენინის მოძღვრების საერთაშორისო მნიშვნელობას და აღნიშნა სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის წარმატებანი საბჭოთა კავშირში.

შეეხო რა ამხ. კიროვის მკვლელობას, ამხ. ბროუდერმა განაცხადა, რომ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიციის ნაშთები გადაიქცენ კონტრრევოლუციის მოწინავე რაზმად.

მიტინგმა მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის დასაცავად და მიესალმა საბჭოთა მთავრობის სიფხიზლეს და მკაცრ ღონისძიებებს კიროვის მკვლელობის ორგანიზატორთა და ინიციატორთა წინააღმდეგ.

მიტინგმა გერმანიის საელჩოს ვაშინგტონში გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ, განსაკუთრებით საარში, და ბულგარეთის საელჩოს — მოთხოვნა პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების შესახებ. საპროტესტო დეპეშა რაკოშის გასამართლების წინააღმდეგ გაეგზავნა უნგრეთის საელჩოს.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი გმობენ ხერსტის პრესის ანტისაბჭოთა კამპანიას და მოუწოდებენ ყველა მშრომელს ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

ლენინის გარდაცვალების 11 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგები გაიმართა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მრავალ სხვა ქალაქში. ჩიკაგოში მიტინგს დაესწრო 10 ათასი კაცი, დეტროიტში — 3 ათასი ნიუ-ჯერსიში — (ნიუ-ჯერსის შტატი) — 2.800 კაცი და სხვა. (ადს).

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. ფილადელფიაში გაიმართა ათიათასიანი მიტინგი, მიძღვნილი ლენინის გარდაცვალების 11 წლისთავისადმი. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია საბჭოთა კავშირის დასაცავად და გამოთქვეს სოლიდარობა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებისადმი, კონტრრევოლუციონერ შეთქმულთა წინააღმდეგ. ხვალ და ზეგ ნიუ-იორკში, ჩიკაგოში და ამერიკის შეერთებულ შტატების სხვა ქალაქებში გაიმართება მრავალრიცხოვანი მასობრივი მიტინგები. „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ" 200 ათასი ეგზემპლიარის რაოდენობით გამოუშვა სპეციალური ბიულეტენი, რომელიც ამხელს ხერსტის პრესის ანტისაბჭოთა ჭორებს და მოუწოდებს საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ. (ადს).

საფრანგეთი

პარიზი, 22 იანვარი. დღეს, ლენინის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, პარიზში ბიულეს დარბაზში კომუნისტური პარტია იწვევს მიტინგს.

„ლუმანიტემ" მოათავსა მარსელ კაშენის სტატია, მიძღვნილი ლენინის ხსოვნისადმი. (ადს).

პოლონეთი

ვარშავა, 22 იანვარი. ლენინის, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლუქსემბურგის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, უკანასკნელ დღეებში ვარშავის სხვადასხვა რაიონში გაიმართა მრავალრიცხოვანი მასობრივი კრებები. გუშინ იმის გამო, რომ მოელოდენ დემონსტრაციების გამართვას ქუჩებში, პოლიციამ მიიღო საგანგებო ზომები. პოლიციელთა მრავალრიცხოვანი გაძლიერებული პატრულების მიუხედავად, ქალაქის ცენტრში და განაპირა უბნებში გაიმართა რევოლუციურ მუშათა გამოსვლები.

მასობრივ კრებებს და დემონსტრაციებს შლიდენ პოლიციელები, პოლიციის ცნობების თანახმად დაპატიმრებულია 20 კაცი.

ჩეხო - სლოვაკია

პრაღა, 22 იანვარი. ქალაქ პრაღის რაიონებში და პროვინციაში ლენინის გარდაცვალების 11 წლისთავის გამო ჩატარდა მუშათა მთელი რიგი კრებები. მუშათა პრესა ვრცელ სტატიებს უძღვნის ლენინის ცხოვრებას და ბრძოლას. ლენინის გარდაცვალების 11 წლისთავთან ერთად, მუშათა რევოლუციური პრესა აღნიშნავს როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მოკვლის 16 წლისთავს და 1905 წლის სისხლიანი კვირის (პეტერბურგში) 30 წლისთავს. (ადს).

შვეცია

სტოკჰოლმი, 21 იანვარი. გუშინ უდიდეს დარბაზში გაიმართა ლენინის, როზა ლუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

ამავე საღამოზე მუშათა მასის წინაშე, რომლითაც გაჭედილი იყო დარბაზი, ნაჩვენები იქნა ფილმი „ჩელუსკინი". დარბაზი ფილმს მქუხარე ოვაციებით შეხვდა. (ადს).

ამხ. რაკოშის პროცესი

ბუდაპეშტი, 21 იანვარი. დღეს დილით დაიწყო რაკოშის პროცესი. ქალაქში დადიან პოლიციელთა გაძლიერებული პატრულები. სასამართლოს შენობაში თავმოყრილია პოლიციის საკმაოდ დიდი ძალები. სასამართლოს დარბაზში არიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ პროცესთან, უცხოელი ჟურნალისტები და უნგრეთის გაზეთების წარმომადგენელნი. თავმჯდომარეობს სენატის პრეზიდენტი სემაკი. ბრალმდებლად გამოდის პროკურორი ტამაში. რაკოშის იცავენ უნგრელი ვექილები პროფ. ვამბერი, ლენგიელი, ტომეკოში და შტრასერი. აქვე არიან ფრანგი ვექილი მისი და ინგლისელი ვექილი ბინგი. სამხრეთ-სლავიიდან ჩამოსულთა შორის არის რაკოშის და. საქმეზე გამოძახებულია 120-ზე მეტი მოწმე, უმთავრესად კაპიტალისტები, გარდა ამისა, გამოწვეული არიან კაროლის მთავრობის ყოფილი წევრები.

გაძლიერებული კონვოით დარბაზში შემოჰყავთ რაკოში, მისი გარეგნობა აშკარად ლაპარაკობს საკატორღო საპყრობილეში ათი წლის პატიმრობის განცდილზე. მიუხედავად ამისა, რაკოშის მეტად მხნედ უჭირავს თავი, კითხვებზე პასუხს აძლევს მკვეთრად და დარწმუნებით. დამცველი ვამბერი გამოდის ვრცელი სიტყვით. იგი ამტკიცებს განსაკუთრებულ სასამართლოს არაკომპეტენტურობას, რომელმაც საქმე მოამზადა არა ჩვეულებრივი, არამედ დაჩქარებული წესით, ამასთან რაკოშს ბრალდება ქმედობანი, ჩადენილი 16 წლის წინათ, მაშინ როცა იმავე ქმედობისათვის რაკოში ერთხელ უკვე გაასამართლეს და მან მოიხადა 8 წლის კატორღა. ვამბერი აცხადებს, რომ არც დამცველებს და არც თვით რაკოშს არ მიეცათ საკმაო შესაძლებლობა მომზადებულიყვენ დაცვისათვის. გარდა ამისა, დამცველებს არ მისცეს სრული შესაძლებლობა ესაუბრათ რაკოშთან. ვამბერი აცხადებს, რომ პროცესი წინააღმდეგობა თვით უნგრეთის კანონებს. სასამართლო მაშინათვე დასაბუთებლად უარყოფს დაცვის წარმომადგენლის განცხადებას. ამასთან თავმჯდომარე დასძენს, რომ დამცველის განცხადების უარყოფის დასაბუთება მოცემული იქნება სასამართლოს საბოლოო განაჩენში.

ამის შემდეგ პროკურორი კითხულობს საბრალმდებლო დასკვნას. რაკოშს ბრალდება კომპარტიის და უნგრეთის საბჭოთა მთავრობის წევრობა, ანტიკონსტიტუციური ქმედობანი, იარაღის გატაცება, მონაწილეობა რევტრიბუნალის მუშაობაში და სხვ. ამასთან პროკურორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაკოშის ყველა ეს ქმედობა ექვემდებარებოდა მის მთავარ მიზანს, სახელდობრ პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებას უნგრეთში.

იმის შიშით, რომ რაკოშის პასუხში სასამართლოს მიმართ ადგილი ექნება ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას სასამართლოს თავმჯდომარე წინადადებას აძლევს რაკოშს უპასუხოს მხოლოდ მიცემულ კითხვებზე, სასამართლოს თავმჯდომარე ეხება რაკოშის მოღვაწეობას უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისრად ყოფნის დროს. რაკოში სავსებით ადასტურებს თავის აქტიურ როლს უნგრეთის საბჭოთა მთავრობის, წითელი არმიის საქმიანობაში და უნგრეთში კონტრრევოლუციის ჩახშობისათვის მიღებულ ღონისძიებებში. რაკოში ცდილობდა პოლიტიკურად დაესაბუთებია თავისი მოქმედება, თავმჯდომარე მკვახედ აწყვეტინებს სიტყვას და სასტიკი სასჯელით ემუქრება. თავმჯდომარეს მოჰყავს ციტატა ერთ-ერთი დეკრეტიდან, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეებს მოელის მკაცრი სასჯელი თვით სიკვდილით დასჯამდე.

თავმჯდომარე ეკითხება რაკოშს: ეთანხმება თუ არა იგი ამას? რაკოში უპასუხებს: „სავსებით. ვფიქრობ აგრეთვე, რომ აუცილებლად საჭირო იყო საგანგებო რევოლუციური სასამართლოები". როცა რაკოში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი საჭიროდ სთვლიდა ყოველთვის და ყველგან, სადაც ეს აუცილებელი იყო, უნგრეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამოსვლას. თავმჯდომარე მას აწყვეტინებს სიტყვას და ამაღლებული ტონით აცხადებს: „მე გიკრძალავთ თქვენ ასე ლაპარაკს". რაკოში დასძენს: „ყველაფერი, რასაც აკეთებდა საბჭოთა მთავრობა სავსებით შეეფერებოდა მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს". თავმჯდომარე ხელმეორედ აწყვეტინებს სიტყვას რაკოშს. შემდეგ რაკოში უპასუხებს რა დამცველი ლენგიელის შეკითხვაზე, აღნიშნავს სოციალ-დემოკრატების მოღალატურ მოქმედებას, რომლებმაც დააპატიმრეს რაკოში. რაკოში აცხადებს: „მხოლოდ კომუნისტებს შეეძლოთ გადაეწყვიტათ ყველა ძირითადი საკითხი, კერძოდ მიწის საკითხი. მუშათა კლასი და ჯარისკაცები ენტუზიაზმით მხარს უჭერდენ კომუნისტებს, არმია მთლიანად გადმოვიდა ჩვენს მხარეზე, არსად არ გაუწევიათ ჩვენთვის წინააღმდეგობა".

თავმჯდომარე: „მაშ რატომ შემოიღეთ სიკვდილით დასჯა".

რაკოში: „რუსეთის რევოლუციამ დაგვანახვა, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია შეურიგდეს პროლეტარულ დიქტატურას და აუცილებლად იბრძოლებს მის წინააღმდეგ".

უპასუხებს რა შემდეგ კითხვებზე, რაკოში ლაპარაკობს უნგრეთის წითელი არმიის ოპერაციების შესახებ და აღნიშნავს, რომ არმიას დაკისრებული ჰქონდა ამოცანა გაეთავისუფლებია უნგრეთის ტერიტორია რუმინეთის და ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიისაგან. ამავე დროს, რაკოში ცდილობს დაწვრილებით შეეხოს ამ პერიოდს, მაგრამ თავმჯდომარე აწყვეტინებს სიტყვას და ეუბნება: „ამის შემდეგ იტყვით". ამით დამთავრდა რაკოშის დაკითხვა. (ადს).

ბუდაპეშტი, 23 იანვარი. რაკოშის პროცესის პირველ და მეორე დღეს დაკითხული იქნა 14 მოწმე. მათ შორის დაკითხული იქნენ ის მინისტრები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იდგნენ იმ დროს, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტად იყო კაროლი. სახელდობრ: იუსტიციის მინისტრი, შემდეგ კი პრემიერი ბერინკეი, მათთან ერთად მინისტრი ბარნა, მომარაგების მინისტრი ბალოგი. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ კაროლიმ რესპუბლიკის პრეზიდენტად ყოფნის დროს მინისტრების უკითხავად გადასცა ძალაუფლება კომუნისტებს და ამავე დროს ალიარებენ, რომ უნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადების წინ მდგომარეობა კრიტიკული იყო. ბერინკეი თავის გამოსვლას იყენებს იმისათვის, რომ მკაცრად გააკრიტიკოს სამშვიდობო ხელშეკრულებანი. ბარნა აღიარებს, რომ უნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადების წინ მოსახლეობის ფართო მასები, განსაკუთრებით ჯარისკაცები და გლეხები, განწყობილი იყვნენ კომპარტიის სასარგებლოდ.

როცა რაკოში ცდილობს მისცეს მოწმეებს შეკითხვები, მას ყვირილით აჩერებს თავმჯდომარე, რომელიც საზოგადოდ უკრძალავს „ბევრ ლაპარაკს". მოწმეებისათვის მიცემული მთელი რიგი შეკითხვებით რაკოში აშკარად არკვევს, რომ უნგრეთის მთავრობა, რომელმაც იცოდა, რომ ომი წაგებულია, არავითარ ზომებს არ ღებულობდა მის შესაწყვეტად და ჯარისკაცებს პირდაპირ სასიკვდილოდ გზავნიდა. შემდეგ რაკოშმა დაადასტურა, რომ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც 1919 წელს შედიოდენ კოალიციურ მთავრობაში, დააპატიმრეს კომუნისტების ხელმძღვანელთა ჯგუფი და დაპატიმრებულებს ეპყრობოდენ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

უნგრეთის პრესა რაკოშის პროცესის შესახებ

ვენა, 22 იანვარი. უნგრეთის პრესა ათავსებს ანგარიშს რაკოშის პროცესის შესახებ. პრესა ხაზს უსვამს უცხოეთის პრესის უდიდეს ინტერესს ამ პროცესისადმი და აღნიშნავს, რომ თვით რაკოშის გაბედულად უჭირავს თავი პროცესზე. პრესა მიუთითებს, რომ პროცესზე რაკოში ცხადჰყოფს თავის ერთგულებას კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს და სოლიდარობას უცხადებს სამუელ ტიბორის მოღვაწეობას. „სამუელი, — მოჰყავს უნგრეთის პრესას რაკოშის სიტყვები სასამართლოში, — შეუპოვრად და გმირულად იცავდა უნგრეთის მუშების და გლეხების ინტერესებს". (ადს).

ამხ. რაკოში

ღირსეული პასუხი რეფორმისტების ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

პარიზის უნიტარული პროფკავშირების რეზოლუცია

პარიზი, 23 იანვარი. დღეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ეწვია პარიზის რაიონის უნიტარული პროფკავშირების გაერთიანების დელეგაცია 17 კაცის შემადგენლობით, რომელშიაც შედიან მეტალისტები, ტრანსპორტის მუშაკთა, კომუნალურ მუშაკთა, ფოსტის მუშაკთა, შოფერთა, გაზის ქარხნების მუშათა და სხვ. პროფკავშირების წარმომადგენლები.

დელეგაციამ წარმომადგენლობას გადასცა რეზოლუცია, რომელიც მიღებულია პარიზის რაიონის უნიტარული პროფკავშირების გაერთიანების აღმასკომის მიერ. ამ რეზოლუციაში გაერთიანების აღმასკომი პროფკავშირების ასი ათასი წევრის და პროფმოძრაობის თანამებრძოლ რამდენიმე ასეული ათასი მუშის სახელით მიესალმება საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს, რომელთა მეცადინეობით საბჭოთა კავშირი გადაიქცა მშვიდობიანობის მთავარ დასაყრდენად, ისეთ ქვეყნად, სადაც არ არის კრიზისი და უმუშევრობა, ისეთ ქვეყანად, სადაც ჩაყრილია საძირკველი უკლასო საზოგადოების ააშენებლად.

თავის რეზოლუციაში აღმასკომი ენერგიულ პროტესტს აცხადებს რეფორმისტული პროფკავშირების ხელმძღვანელობის იმ უსირცხვილო და ცილისწამებით აღსავსე კამპანიის წინააღმდეგ, რომელიც გააჩაღეს მათ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში დახვრეტილ იქნენ კონტრრევოლუციური ტერორისტები. აღმასკომი სრულ სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მშრომელებს, რომლებიც ყოველგვარ მტრისაგან, მათ შორის ტერორისტული თავდასხმებისაგან იცავენ იმ ქვეყანას, სადაც სოციალიზმმა გაიმარჯვა.

— რეფორმისტთა ცილისწამების კამპანიის მიზანი ნათელია, — ნათქვამია რეზოლუციაში. იგი მდგომარეობს იმაში, რომ არევ-დარევა შეიტანოს უცხოეთის მუშათა რიგებში სწორედ იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა უფართოესი მასები სულ უფრო და უფრო უდიდესი სიმპატიებით ეკიდებიან საბჭოთა კავშირს. შემდეგ აღმასკომი მიესალმება საბჭოთა კავშირის მთავრობას და პროფესიულ კავშირებს.

ამას გარდა, გაზის ქარხნის მუშათა პროფკავშირმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას გადასცა რეზოლუცია, მიღებული ამ კავშირის 4 ათასი წევრისაგან შემდგარ კრებაზე, რომელშიაც დამსწრენი სავსებით და მთლიანად იწონებენ იმ მკაცრ ღონისძიებებს, რომლებსაც მიმართა საბჭოთა პროლეტარულმა სასამართლომ კონტრრევოლუციური ტერორისტების წინააღმდეგ, და მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს დაულალავად და ყოველგვარი საშუალებებით დაიცვან გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყანა (ადს).

შრომის უნიტარული კონფედერაციის აღმასკომის რეზოლუცია

პარიზი, 21 იანვარი. „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა შრომის საყოველთაო უნიტარული (რევოლუციური კონფედერაციის აღმასრულებელი კომისიის (ხელმძღვანელობის) რეზოლუცია. აღმასკომი მიესალმება საბჭოთა კავშირის მშრომელებს და მთავრობას, რომლებიც აშენებენ უკლასო საზოგადოებას. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები უდიდეს როლს თამაშობენ სოციალისტურ მშენებლობაში. რეზოლუცია ამხელს რეფორმისტული პროფკავშირების იმ ზოგიერთი ხელმძღვანელის საზიზღარ როლს, რომლებიც ბულვარულ პრესასთან ერთად ცდილობენ ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს ტერორისტების დახვრეტის გამო (ადს).

პოლონეთი და აღმოსავლეთის პაქტი

ვარშავა, 21 იანვარი. ჟენევაში წარმოებულ მოლაპარაკების შედეგებმა ვარშავის პოლიტიკურ წრეებში დაუფარავი შეშფოთებით შეხვდენ. პრესამ დუმილით აუარა გვერდი ლიტვინოვის ინტერვიუს, რომელიც მან მისცა ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს. მთავრობასთან დაახლოვებული პრესა კმაყოფილდება ცნობების ამოკრეფით იმ ფრანგულ გაზეთებიდან, რომლებიც ამართლებენ პოლონეთის პოზიციას აღმოსავლეთის პაქტის მიმართ. („პტი პარიზიენი", „ფიგარო", „ჟურნალი"). გამოხმაურება სხვა გაზეთებისა მაგალითად, „ევრი", „ეკო დე პარი" და სხვ., რომელნიც გადაჭრით გმობენ პოლონეთის პოზიციას, ბრალს სდებენ რა მას გერმანიისაგან დამოკიდებულებაში, მხოლოდ ოპოზიციურ პრესას მოჰყავს.

„კურიერ ვარშავსკის" პარიზელ კორესპონდენტს მოჰყავს „ევრის" დეპეშა, რომელიც აღნიშნავს პოლონეთის დელეგაციის შეშფოთებას და დაბნეულობას ჟენევის მოლაპარაკების შედეგების გამო. გაზეთს მოჰყავს აგრეთვე პერტინაქსის განცხადება, რომ პოლონეთს არ სურს შეამჩნიოს თავისი იზოლაცია. „ილუსტრიროვანი კურიერ პორანის" ჟენეველი კორესპონდენტი ტელეგრაფით იუწყება, რომ ლიტვინოვის ინტერვიუთ გამოწვეული შთაბეჭდილების გამო თითქოს პოლონეთმა გადასინჯა თავისი პოზიცია და გამოთქვა სურვილი დაიწყოს მოლაპარაკება აღმოსავლეთის პაქტთან შეერთების შესახებ.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიაც ნათქვამია, რომ პოლონეთის პოზიცია ამ საკითხში უცვლელი დარჩა. (ადს).

ლოიდ ჯორჯის პროგრამა

ლონდონი, 21 იანვარი. ამ დღეებში ბანგორში (უელსი) ლოიდ ჯორჯმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა ინგლისის ეკონომიური გაჯანსაღების გეგმა.

ლოიდ ჯორჯის მიერ წამოყენებული გეგმა ცოტათი განსხვავდება იმ ცნობილ „ყვითელი წიგნის" წინადადებებისაგან, რომლის დახმარებით ლიბერალები ამაოდ ცდილობენ შეინარჩუნებინათ თავისი პოზიციები 1929 წლის არჩევნების დროს. ამ გეგმის დედაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მოითხოვს მოეწყოს დიდი საზოგადოებრივი სამუშაოები და ერთი მილიონი უმუშევარი დასასახლებლად გაეგზავნოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების განსახილველად, ლოიდ ჯორჯის აზრით, უნდა შეიქმნეს მთავრობის კომიტეტი (ომის დროინდელი კაბინეტის ტიპის), რომელშიაც უნდა შედიოდეს არა უმეტეს ხუთი წევრისა. დამახასიათებელია, რომ ლოიდ ჯორჯის გალაშქრებას ინგლისის ბანკის პოლიტიკის წინააღმდეგ არ ჰქონდა იმდენად მწვავე ხასიათი, როგორც ამას მოელოდენ. მის წინადადებას ინგლისის ბანკის რეორგანიზაციის შესახებ არ გამოუწვევია შიში საქმიან წრეებში, რამდენადაც მან გალაშქრა ბანკების ნაციონალიზაციის წინააღმდეგ.

მისი სიტყვით, ინგლისის ბანკის გამგეობა უნდა შესდგებოდეს ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მრეწველობასთან და ვაჭრობასთან, მაგრამ მაინც არ არიან დამოკიდებული სიტიზე.

ლოიდ ჯორჯის პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო მოქმედებას მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.

იმ გარემოებამ, რომ ლოიდ ჯორჯი დაუბრუნდა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის პოლიტიკურ წრეებზე. „ტაიმსი" გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ მხედველობაში მიიღოს ლოიდ ჯორჯის წინადადება. ამასთან გაზეთი აცხადებს, რომ „კაბინეტის რეორგანიზაცია არ არის უაზრო და სასურველი იქნებოდაო".

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ლოიდ ჯორჯი არ აცხადებს პრეტენზიებს იმაზე, რომ შექმნას ახალი პარტია ანდა დაიკავოს პარტიის მეთაურის პოსტი. ამ გარემოებას და აგრეთვე მის პროექტს, რომელიც გულისხმობს, რომ ინგლისმა ენერგიულად გამოიყენოს საბაჟო ტარიფები სხვა ქვეყნების კონკურენციასთან ბრძოლაში, ტორისულ ლიგაში ნიშნავ გარემოებად მიაჩნიათ.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსთა მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს ყურადღებით განიხილოს ლოიდ ჯორჯის წინადადებანი, როცა ისინი მის მიერ საბოლოოდ იქნება დამუშავებული. ამასთან ერთად ლიბერალისტული პარტია, რომელიც ემზადება შესაძლებელი არჩევნებისათვის, ჯერ კიდევ მიმდინარე წელს, აშკარად შეშფოთებულია ლოიდ ჯორჯის დივერსიით; ლიბერალისტულმა პარტიამ სასწრაფოდ გამოაქვეყნა თავისი პროგრამა, რათა გააბათილოს ლოიდ ჯორჯის ახალი წინადადებანი.

ერთა ლიგის საბჭოში

ჟენევა, 21 იანვარი. დღეს შესდგა ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ფინეთ-ბრიტანეთის დავა. თავმჯდომარის თეზფიკ რუშთი არასის წინადადებით დაინიშნა კომიტეტი ესპანეთის, არგენტინის და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელმაც ერთა ლიგის საბჭოს მაისის სესიას უნდა მოახსენოს — შედის თუ არა ეს საქმე ლიგის კომპეტენციაში.

შემდეგ საბჭომ მოისმინა საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმი საარის ლტოლვილთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მემორანდუმში ნათქვამია, რომ პირველ ყოვლისა საჭიროა თვალყურის დევნება იმისთვის, რომ გერმანიის მთავრობამ ზუსტად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი და არ დაუშვას რეპრესიები იმ პირების მიმართ, რომელნიც მხარს უჭერდენ სტატუს-ქვოს ოლქში. რაც შეეხება საარის ოლქიდან საფრანგეთში დაწყებულ ემიგრაციას, როგორც მემორანდუმში აღნიშნულია, საფრანგეთი არ ამბობს უარს მონაწილეობა მიიღოს ლტოლვილთათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაში, მაგრამ მას არ შეუძლია მთელი სიმძიმე თითონ იკისროს, რამდენადაც საარის ლტოლვილთათვის დახმარების აღმოჩენის პრობლემა პირველ ყოვლისა არის ერთა ლიგის პრობლემა, იმდენად ერთა ლიგამ საარის ემიგრანტთათვის დახმარების აღმოჩენა უნდა შეიტანოს თავის ბიუჯეტში.

საბჭომ დაავალა მომხსენებელს ემიგრაციის საკითხებზე „სამთა კომიტეტთან" ერთად შეიმუშაოს პრაქტიკული წინადადებანი და წარმოუდგინოს ისინი ერთა ლიგის საბჭოს შემდეგ სესიას. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია დაიხურა

ჟენევა, 22 იანვარი. გუშინ საღამოს მთელი რიგი მეორეხარისხოვანი საკითხების განხილვის შემდეგ ერთა ლიგის საბჭოს სესია დაიხურა. (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება

ბერლინი, 22 იანვარი. გუშინ ბერლინში დაიწყო გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება მათი სავაჭრო ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე ეკონომიურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საარის დაბრუნებასთან, როგორც საქმესთან გაცნობილ წრეებიდან იუწყებიან. გერმანიას განზრახული აქვს დასვას განსახილველად მთელი კომპლექსი ეკონომიური საკითხებისა, რომლებიც ეხებიან ორივე ქვეყნის ინტერესებს. (ადს).

ლონდონში გამართული ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილე მუშა (დაპატიმრებული პოლიციელების მიერ) საჯაროდ პროტესტს აცხადებს ფაშიზმის წინააღმდეგ.

ჰიდრო-სადგურების მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 23 იანვარი. ჰიდრო-ენერგეტიკული მშენებლობის მთავარ სამმართველოს გეგმით 1935 წელს ა.-კ. სფს რესპუბლიკაში უნდა დამთავრდეს და სავსებით ექსპლოატაციაში ამუშავდეს შემდეგი ჰიდროსადგურები: სევან - ქანაქირის 88 ათასი კილოვატის სიმძლავრით და აჭარისწყლის — 17,3 ათასი კილოვატის სიმძლავრით;

ამას გარდა, გადაწყდა მიმდინარე წელს ფართოდ გაიშალოს მდინარე ხრამზე ჰიდროსადგურის მშენებლობის სამუშაოები იმ ანგარიშით, რომ ეს სადგური გადაცემულ იქნას საექსპლოატაციოდ 1937 წელს.

ხრამჰესი — ეს ა.-კ. სფს რესპუბლიკის ყველაზე უფრო დიდი ჰიდროსადგურია. მის უდიდეს სამანქანო დარბაზში დადგმული იქნება 3 ტურბინა 90 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით.

ხრამის ჰიდროსადგური ყოველწლიურად გამოიმუშავებს დაახლოებით 200 მილიონ კილოვატსაათ ელექტრო-ენერგიას.

ხრამჰესის მშენებლობის გაშლასთან ერთად გადაწყდა აგრეთვე დაჩქარდეს სოხუმის 15,6 ათასი კილოვატის სიმძლავრის ჰიდროსადგურის მშენებლობა მდინარე გუმისტაზე და გაიშალოს მოსამზადებელი სამუშაოები ახალი ჰიდროსადგურის ასაგებად მდინარე ტერტერზე (აზერბეიჯანი). აღნიშნული სადგურის სიმძლავრე განისაზღვრება 54 ათასი კილოვატით (ადს).

ა. ენუქიძე

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის*)

III

ამიერ - კავკასიის, კერძოდ ბაქოს, ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციების წარმოშობას და მუშაობას რევოლუციური მოძრაობასა და ჩვენი პარტიის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. სამწუხაროდ, ამ საკითხებს დღემდე საკმაოდ და ყოველთვის ზუსტად როდი აშუქებდენ ჩვენს პრესაში. განსაკუთრებით ბევრი შეუსაბამობა, რომელიც ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, დაშვებული იყო ბაქოს ორგანიზაციის მუშაობის პირველი წლების აღწერაში. აი, მაგალითად, რას წერს, ბაქოში აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული შაუმიანის სახელობის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი, ამხ. რაევსკი თავის აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის ნარკვევებში:

„სოციალ - დემოკრატიული მუშაობა ბაქოში საკმაოდ გვიან გაიშალა, მხოლოდ 1898 წელს ჩნდებიან პირველი სოციალ - დემოკრატები, რომლებიც, უმთავრესად, მოდიოდენ მეზობელი ტფილისიდან, სადაც სოციალ - დემოკრატიული მოძრაობა საგრძნობლად უფრო ადრე ჩამოყალიბდა". („ბოლშევიზმი და მენშევიზმი ბაქოში 1904-1905 წლებში", გამომცემლობა, „აზერნეშრი" 1930 წ.).

აქ დაშვებულია ორი შეცდომა: პირველი, სრულიად უსაფუძვლოა ავტორის მტკიცება, რომ 1898 წელს ბაქოში სოციალ - დემოკრატები არ იყვნენ. მეორე, ასევე არ არის მართალი, რომ ის სოციალ - დემოკრატები, რომლებიც ბაქოში გამოჩნდენ, უმთავრესად ტფილისელები იყვნენ.

ტფილისშიაც და ბაქოშიაც, როგორც ეს ამიერ - კავკასიის ძველმა პარტიულმა მუშაკებმა კარგად იციან, სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნაში უდიდესი როლი შეასრულეს რუსმა ამხანაგებმა, რომლებიც პეტერბურგიდან, მოსკოვიდან და რუსეთის სხვა რაიონებიდან ჩამოდიოდენ, მათთან ერთნი იქ გადასახლებული იყვნენ მეფის მთავრობის მიერ. როგორც პოლიტიკურად არასაიმედონი. სხვებს აგზავნიდენ ხელმძღვანელი სოციალ დემოკრატიული ცენტრები და ბოლოს, ბევრი ჩადიოდა იმისათვის, რომ არალეგალური მუშაობის პირობების გამო ადგილმყოფობა გამოეცვალა. ეს მით უფრო ითქმის ბაქოზე - უზარმაზარ სამრეწველო მრავალეროვან ცენტრზე, განსაკუთრებით სამრეწველო რაიონებზე, სადაც უფრო ადვილი იყო თავის დამალვა მეფის მთავრობის დევნისაგან.

ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა ამიერ - კავკასიაში სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციის შექმნაში ლუზინმა 90-იანი წლების მეორე ნახევარში. ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშეს ამიერ კავკასიაში ლენინური იდეების დანერგვის საქმეში 90-იანი წლების დასაწყისისათვის ლენინის უახლოესმა თანამებრძოლმა, ამიერკავკასიაში ლენინის იდეების პირველმა დამნერგავმა ამხ. კურნატოვსკიმ, ხოლო შემდეგ ფრანჩესკიმ, რაძევიჩმა და სხვებმა.

ბაქოს ორგანიზაციის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს ამხ. ვანო სტურუა, რომელიც 1898 წელს ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის მიერ გაიგზავნა ბაქოში არალეგალური ლიტერატურით. იქ მას დახვდა პარტიული ზედაფენა, რომელიც ინტელიგენტებისაგან შესდგებოდა.[1]) აგრეთვე ცნობილი ბაქოელი არალეგალური მუშაკი ვაცეკი მოგვითხრობს, რომ მოსკოველი პოპოვი მაშინ ბაქოში ნობელის ქარხანაში საკმაოდ ფართო პარტიულ მუშაობას ეწეოდა: აწყობდა წრეებს, მართავდა კრებებს და სხვ. ითობით იყვნენ სხვა რუსი ამხანაგებიც, კერძოთ ბოკაჩევი, მაზილკინი და ა. შ.

90-იანი წლების დასასრულს ბაქოს ნავთის მრეწველობა სწრაფად განვითარდა 6 წლის განმავლობაში (1895-1901 წ. წ.) ნავთის ამოღება თითქმის ორჯერად გადიდდა. ამ წლებში ბაქო გაფიცვების ტალღამ მოიცვა. და სრულიად არ არის მართალი ამხ. რაევსკი, როცა ამტკიცებს, რომ ბაქოში პირველი სოციალ - დემოკრატები 1898 წელს გამოჩნდენო. ეს არ არის მართალი, ვინაიდან უკვე 1896-1897 წლებში ბაქოში არსებობდა სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაცია, თუმცა იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

თვითკრიტიკის წესით მე უნდა გამოვასწორო ჩემ მიერ დაშვებული შეცდომები „გრანატის" ლექსიკონში (ავტობიოგრაფია), სადაც ნათქვამია, რომ ბაქოს სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაცია შეიქმნა 1899 წლის დასაწყისში და ეს თითქოს დაკავშირებულია ჩემ ჩასვლასთან ბაქოში 1898 წელს. კიდევ უფრო არაზუსტად არის ეს საკითხი გაშუქებული დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში. იქ ჩემი ბიოგრაფიის გადმოცემისას ნათქვამია, თითქოს ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისათვის მე ჩამეყარის საძირკველი. ეს არ არის მართალი.

ბაქოში პარტიული კომიტეტი პირველად 1900-1901 წლებში შეიქმნა. სწორედ ამ დროიდან იწყობა ნამდვილი პარტიული მუშაობა. ბაქოს პარტიული კომიტეტის შექმნასა და მუშაობის გაშლაში უდიდესი როლი ითამაშა ვლადიმერ კეცხოველმა, რომელიც ბაქოში გაგზავნა ტფილისის ცენტრალურმა პარტიულმა ჯგუფმა სადაც მაშინ შედიოდენ ჯიბლაძე, ცხაკაია, კეცხოველი, სტალინი და სხვ... სწორედ ვლადიმერ კეცხოველმა გააერთიანა მაშინ ბაქოს რაიონები, შექმნა ბაქოს კომიტეტი და მისცა ბაქოს ორგანიზაციას ბოლშევიკურ „ისკრული" სახე. მან ამხილა „ეკონომისტები" მომაიალი მენშევიკები, მათთან შემარიგებლები და „რუსი რაბოჩის" ჯგუფის მომხრეები, ლენინს ბაქოს პარტიულ ორგანიზაციასთან კავშირი დამყარებული ჰქონდა ამხ. კეცხოველის მეშვეობით, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი ბოლშევიკ — „ისკრელი" ამიერ - კავკასიაში. მე მხოლოდ სხვა ამხანაგებთან ერთად ვეხმარებოდი ამხ. კეცხოველს. ამიტომ სრულიად არ არის სამართლიანი ამხ. კეცხოველის როლის რაიმე შემცირება ბაქოს კომიტეტის შექმნაში, ორგანიზაციისათვის ბოლშევიკური — „ისკრული" სახის მიცემაში.

„მე, კეცხოველთან შედარებით, მცირე მუშაობას ვეწეოდი, და შეცდომაა ბაქოს ორგანიზაციის დაარსების დაკავშირება ჩემს ჩასვლასთან ბაქოში 1898 წლის დასასრულს. სხვათა შორის, მე ბაქოში გავემგზავრე არა ტფილისის ცენტრალური პარტიული ჯგუფის დავალებით, როგორც ამხ. კეცხოველი, არამედ გადაყვანილი ვიყავი რკინისგზის ადმინისტრაციის მიერ ორთქლმავლის მემანქანის თანაშემწედ.

ბაქოს ორგანიზაციის ცხოვრებაში, მის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა პირველმა არალეგალურმა სტამბამ, რომელიც 1900 წელს მოეწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის გაშუქებაშიც დაშვებულია უხეში შეცდომები. მაგალითად, დიდი საბჭოთა ენციკლოპედია იმავე ჩემს ბიოგრაფიაში შეცდომით ამბობს, რომ თითქოს „ბაქოში დიდი არალეგალური სტამბა მოეწყო, უმთავრესად, ენუქიძის ენერგიის მეოხებით". ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბაქოში პირველი არალეგალური სტამბის დამაარსებელი და ორგანიზატორი იყო ვლადიმერ კეცხოველი. პირველი არალეგალური სტამბის შექმნის ისტორია მე გავაშუქე ჩემს სტატიაში, რომელიც დაბეჭდილია 1924 წელს გამოსულ კრებულში — „ბოლშევიკების ბაქოს ორგანიზაციის ოცდახუთი წელი". სამწუხაროდ, ამის შესახებ მირე გაცილებით უფრო ნაკლებად მკაფიოდ დავწერე წიგნაკში „ბოლშევიკური არალეგალური სტამბები".

ბაქოს პირველი სტამბის შექმნაში დიდი დახმარება გაუწია ტფილისის პარტიულმა კომიტეტმა სილიბისტრო ჯიბლაძის და ამხანაგ სტალინის სახით, რომლებისაგან მიღებული ფული და ხელნაწერები დაბეჭდავდ.

არალეგალური სტამბის ცნობილი მუშაკი ამხ. ბოლქვაძე სავსებით სწორად აწერს სტამბის ორგანიზაციას და მისი მუშაობის პირველ დღეებს:

„ტფილისში 1900 წელს ტრამვაის მუშების ერთ-ერთი გაფიცვის შემდეგ, კეცხოველი, როგორც ორგანიზატორი, იძულებული გახდა მიმალულიყო ტფილისიდან. იგი ბაქოში გადავიდა და იქ იშოვა სახსრები ერთი საბეჭდი მანქანის შესაძენად. შრიფტის და დანარჩენი მოწყობილობის შეძენაში დაგვეხმარა სოციალ - დემოკრატიული პარტიის ტფილისის ორგანიზაცია, და მალე სტამბამ იწყო მუშაობა. თავდაპირველად სტამბაში სულ ორი კაცი ვმუშაობდით: კეცხოველი და მე. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ბევრი სამუშაო გაგვიჩნდა და ჩვენ მარტონი თავს ვერ ვართმევდით, მოგვიმატა ამხ. ვასო წულაძე... გარეშე ქვეყანასთან სტამბის ჩავარდნის შიშით, ჩვენ თითქმის არავითარი ურთიერთობა არ გვქონია. პარტიული ამხანაგებიდან ჩვენთან კავშირი გამხმული ჰქონდა ჩვეულებრივ ამხ. ენუქიძეს, აგრეთვე კეცხოველი ზოგჯერ ნახულობდა ამხ. კრასინს, რომელიც ფულს გვაწვდიდა" (კრებული — „ბოლშევიკების ბაქოს ორგანიზაციის ოცდახუთი წელი").

ამ პერიოდში კეცხოველი არათუ ხელმძღვანელობდა სტამბის მუშაობას, არამედ აგრეთვე ხელმძღვანელობდა ბაქოს პარტიულ ორგანიზაციას და რედაქტორობდა არალეგალურ გაზეთ „ბრძოლას".

გადავდივარ რა პარტიის მეორე ყრილობიდან მესამე ყრილობამდე გასულ პერიოდზე, როცა ბაქოში მოქმედებდა ცენტრალური კომიტეტის დიდი სტამბა, რომლის მუშაობაშიც მეც ვღებულობდი მონაწილეობას, უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მომენტი, რომლებიც მთლად სწორად არ არის გაშუქებული ჩემს ბროშურაში — „ბოლშევიკური არალეგალური სტამბები".

ამ ბროშურაში ნათქვამია:

„ამხანაგებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს სტამბა თავდაპირველადვე მომსახურებას უწევდა თითქოს ახალ „ისკრას"[2]). უნდა ითქვას, რომ ამ მომენტისათვის პარტიაში უკვე მწიფდებოდა ის გათიშვა, რომელიც მეორე ყრილობაზე დაისახა. როგორც მოგეხსენებათ, 1905 წლის გაზაფხულამდე „ისკრა" პარტიის ცენტრალურ ორგანოდ ითვლებოდა, და სტამბა ასრულებდა არა მარტო ახალი ისკრული მიმართულების დავალებებს, რამედ ბეჭდავდა ყველაფერს პარტიული ცენტრალური კომიტეტის ცალკეული მითითებებით, რომლებსაც იგი ჩვენ გადმოგვცემდა თავისი წევრების, ც. კ-ის სწორედ იმ წევრების მეშვეობით, რომლებიც ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდენ. ეს იყო გამოვლენებული ამხანაგი ნოსკოვი (ნოსკოვი), რომელიც არჩეულ იქნა ც. კ-ში პარტიის მეორე ყრილობაზე, და ლ. ბ. კრასინი ც. კ-ის რუსეთის ჯგუფის წევრი".

ჯერ ერთი, სავსებით სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ამ მომენტისათვის (ლაპარაკია 1905 წელზე) მხოლოდ მწიფდებოდა გათიშვა მენშევიკებთან. როგორც ცნობილია, ფაქტიური გათიშვა მენშევიკებთან მოხდა 1903 წელს, პარტიის მეორე ყრილობაზე.

რაც შეეხება გლებოვ - ნოსკოვს და ლ. ბ. კრასინს, რომლებიც მე ბოლშევიკურ ფრაქციას მივაკუთვნებ, როგორც ცნობილია, ისინი იმ პერიოდში უკვე დაექანენ მენშევიზმისადმი შემარიგებლურ პოზიციებისკენ.

კერძოდ, გლებოვ - ნოსკოვს მკაცრად ამხილებდა ამხანაგი სტალინი, რომელიც სპეციალურად გაიგზავნა 1904 წელს ბაქოში ტფილისის საკავშირო კომიტეტის მიერ, ბაქოს დეკემბრის ცნობილი გაფიცვის დაწყების მეორე დღეს. ამხანაგმა სტალინმა მაშინ ბაქოში ათ დღეს დაჰყო, იგი მონაწილეობას იღებდა გაფიცვის ხელმძღვანელობაში და პარტიული მუშაობის მოგვარებაში. ბაქოს კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ ამხ. ბობროვსკი, ჯაფარიძე, ბექზადიანი, ფიოლეტოვი და სხვები, სტალინი მოითხოვდა გლებოვ ნოსკოვისაგან დაეგმო მენშევიკ - შენდრიკოველების, რომლებსაც თავისი პროვოკაციული მუშაობით, ნავთის კომპანიებისათვის ცეცხლის წაკიდებით და სხვა ანარქისტული მოქმედებებით გაფიცვაში დეზორგანიზაცია შეჰქონდათ. გლებოვ - ნოსკომ გადაჭრით უარი სთქვა მენშევიკების დაგმობაზე და ამით საბოლოოდ გამოაამჟღავნა თავისი თავი.

გლებოვს და მის გაუსწორებელ მენშევიკურ მოქმედებაზე პარტიის მესამე ყრილობის წინ ამიერ - კავკასიის შემოვლის დროს დაწვრილებით წერდენ აგრეთვე ვანო სტურუა და სხვა ამხანაგები ლენინისადმი გაგზავნილ წერილებში. ამ გარემოებას განსაკუთრებით ნათლად ადასტურებს, მაგალითად, შემდეგი ადგილი სტურუას წერილიდან:

„ც. კ-ის (გლებოვის) მიერ კავკასიის შემოვლა როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, გადაიქცა ფართო აგიტაციად ყრილობის წინააღმდეგ. ამ აგიტაციამ მიიღო საკავშირო კომიტეტის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმა. მიაა ემმაკია, მან იცის — საით წარმართოს თავის მახვილი!. და აი, წარმოიდგინეთ, მას სურს მოსპოს „შეათანა რგოლი" (ც. კ-სა და ადგილობრივ კომიტეტებს შორის.. „ცენტრალიზმის" ინტერესებისათვის! ვშიშობ, რომ ეს ახალგაზრდა დიპლომატი ფეხს წაიტეხს. მით უფრო, რომ მისი კონსერვატიული პოზიცია, დამახასიათებელი დემაგოგიით - ფარისევლობით და სიცრუით შელამაზებული, მხოლოდ ზიზღს გვრის კავკასიელი ამხანაგების უმრავლესობას. მეორე მხრივ, საკავშირო კომიტეტმა მის (გლებოვის) წინააღმდეგ ფრიად ენერგიული ზომები მიიღო.. გლებოვი არავითარ საშუალებას არ თაკილობს ეს ვილაც შარლატანია, რომელსაც გინდა სილა გააწნა. მით უარესი მისთვის, ჩვენ შეიძლებოდა იგი ხელცარიელი გაიშვათ..."

სხვათა შორის, ვიხილი რა ზოგიერთ უსწორობას ჩემს წიგნაკში არალეგალური სტამბების შესახებ, უნდა აღვნიშნო ის არა სავსებით ზუსტი შეფასება, რომელიც მივეცი ბაქოს და ტფილისის ორგანიზაციების ურთიერთობას პარტიის მეორე ყრილობამდე. მე, მაგალითად, ნათქვამი მაქვს, რომ ტფილისში „მაშინ და უფრო გვიან ბატონობდენ ისინი (ცნობილი მენშევიკები, როგორც ჟორდანია, ჯიბლაძე და სხვ.." ეს მართალი არ არის ნამდვილად კი ტფილისის კომიტეტის უმრავლესობა მენშევიზმისაკენ გადაიხარა მხოლოდ მას შემდეგ, როცა პლეხანოვი დაშორდა ლენინს, ე. ი. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ. უთანხმოება იყო არა ტფილისის და ბაქოს ორგანიზაციებს შორის, არამედ ბაქოს სარევიზიო ჯგუფსა და ტფილისის კომიტეტს შორის, რომელიც საოლქო პარტიული ორგანიზაციის როლს ასრულებდა. ჰფიოლისი მოითხოვდა, რომ ყველა მასალა არალეგალური ქართული გაზეთ „ბრძოლისათვის" გაგზავნილიყო მის პარტიულ რედაქციაში, ხოლო ჩვენ ამას წინააღმდეგობას ვუწევდით და მოვითხოვდით, რომ რედაქცია ყოფილიყო ბაქოში.

საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ მე ყოველთვის როდი ვახერხებდი გამომეჩინა საკმაოდ ბოლშევიკური სიმტკიცე. სრულიად მართალ - უბრალოდ წერს დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ჩემს შესახებ:

„მრავალი წლის მკაცრმა ბრძოლამ მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის პერიოდში გამობრძმედა ენუქიძე, რომელიც გახდა ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე რევოლუციონერი - არალეგალური მუშაკი".

ნამდვილად კი, მე ვმერყეობდი მაგალითად 1907 წელს ბაქოში და 1917 წელს (მარტი-ივნისი) ლენინგრადში.

კიდევ რამდენიმე სიტყვა შეცდომების შესახებ.

ზემოხსენებულ ჩემს ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ მე „აპრილში (ლაპარაკია 1917 წელზე) არჩეული ვიყავი სრულიად რუსეთის ცაკის წევრად. საბჭოების პირველი ყრილობაზე ამირჩიეს სრულიად-რუსეთის ცაკის წევრ - ბოლშევიკებიდან, შემდეგ ვიყავი პეტროგრადის აღმასკომის წევრი".

აპრილში მე არ შემეძლო სრულიად — რუსეთის ცაკის წევრი ვყოფილიყავი იმ უბრალო მიზეზით, რომ აპრილში სრულიად-რუსეთის ცაკი არ არსებობდა. საბჭოების პირველი ყრილობა, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, შესდგა 1917 წლის 17 ივნისს: საბჭოების პირველ ყრილობაზე მე არ ვყოფილვარ არჩეული სრ. რუსეთის ცაკის წევრად ბოლშევიკებიდან. არ ვყოფილვარ აგრეთვე იმავე პერიოდის პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრი. ბოლშევიკური პარტიის მე-6 ყრილობაზე 1917 წ. ივლისში მე დელეგატი ვიყავი. ხოლო საბჭოების მეორე ყრილობაზე ამირჩიეს ბოლშევიკებიდან სრ. ცაკის წევრად და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი ოქტომბრის რევოლუციაში.

საჭიროა მივაქციო ამ შენიშვნებს ყურადღება, რომ არ შეიტანონ სიმრუდე პარტიული ორგანიზაციების ისტორიის არასწორად გაშუქებისათვის და ისტორიის ... სწავლაში.

---

*) წერილი დაბეჭდილია „პრავდის" 16 იანვრის ნომერში.

[1]) იხ. კრებული „ბოლშევიკების ბაქოს ორგანიზაციის ოცდახუთი წელი".

[2]) ესეიგი მენშევიკების ხელში გადასულ „ისკრას".

სენაკში ცუდად ხელმძღვანელობენ რემონტს

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

მომავალ საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით სენაკის რაიონში უნდა შეკეთდეს 618 გუთანი, 301 ფარცხი, 63 სათესი, 366 მათოხი და 4 სათიბი. აქედან მ.-ტ. სადგურებში რემონტი გაუკეთდა 415 გუთანს, 235 ფარცხს, 56 სათესს, 267 მათოხს და 3 სათიბს. დანარჩენი მანქანა-იარაღები შეკეთდება მიწგანის ხაზით.

როგორც ხედავთ, საქმე მეტად სერიოზულია და თუ ზამთრის დარჩენილი თვინახევარი ამ მიზნისათვის მთლიანად არ გამოიყენეს, გაზაფხულის თესვას შევხვდებით დამტვრეული გუთნებით, გაფუჭებული ფარცხებით.

მიწგანის და მტს-ის დირექცია კი საკმარის ზომებს არ იღებულობენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის რემონტის დროულად დამთავრებისათვის.

კოლმეურნეობებში 15 იანვრისათვის 4181 გუთნიდან შეკეთებული იყო მხოლოდ 80 გუთანი (ანუ გეგმის 19,1 პროც.), ინდივიდუალურ მეურნეობებში კი 199 გუთნიდან შეკეთებულია 44 ც. (22,1 პროც.), კოლმეურნეობებში 237 ცალი ფარცხიდან შეკეთებულია 5 (2,2 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებში კი 64 ცალის ნაცვლად მხოლოდ — 5 ც.

სოფ. ხორშის შზეფის და ახალ სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობებს კი 15 იანვრისათვის რემონტი არ ჰქონდათ დაწყებული.

ჩამორჩენა მანქანა-იარაღების რემონტში სენაკის რაიმიწგანისა და მტს-ის დირექციის ცუდი ხელმძღვანელობის შედეგია. მიწგანი მხოლოდ ცირკულიარების გაგზავნით კმაყოფილდება.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. მანქანა-იარაღების რემონტში თვითდინებას ბოლო უნდა მოეღოს. რემონტს სჭირდება რაიმიწგანისა და მტს-ის დირექციის ოპერატიულ - კონკრეტული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაძლიერება.

ბ. უჩანეიშვილი.

ტრაქტორების რემონტი 20 იანვრისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

20 იანვრისათვის საქართველოს მ. ტ. სადგურებს შეკეთებული ჰქონდათ სულ 600 ტრაქტორი, რაც შეადგენს ნოემბერ-იანვრის გეგმის 83,8 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმის 78,8 პროც.

აჭარის, ოჩემჩირის, გალის და ზუგდიდის მ. ტ. სადგურების გამოკლებით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებმა მტს-ებმა ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულს დაამთავრეს ტრაქტორების რემონტი.

20 იანვრისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მ. ტ. სადგურებში შეკეთებული იყო 284 ტრაქტორი, წლიური გეგმის 72,1 პროცენტი.

ცალკე მტს-ბის მიხედვით ტრაქტორების შეკეთება ასეთ სურათს გვაძლევს:

მ. ტ. სადგურები	[illegible]	[illegible]
ახალქალაქის	21	100
ჯავის	28	86,7
გორის	29	72,5
კასპის	28	92
სტალინირის	15	100
მცხეთის	14	93,8
ტფილისის	2	16,7
საგარეჯოს	8	53,8
ბორჩალოს	11	70,7
ლიუქსემბურგის	11	78,5
ყარაიას	13	65
გურჯაანის	15	93,8
წნორის	29	80,6
თელავის	13	100
ყვარლის	6	75
ლაგოდეხის	15	68,2

ულიანოვკის მ. ტ. სადგურს ტრაქტორების შეკეთების დაწყების შესახებ ცნობა ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია.

ტრაქტორების რემონტში სამარცხვინოდ არის ჩამორჩენილი ტფილისის მტს-ი, ცუდად მიმდინარეობს რემონტი საგარეჯოსა და ყარაიას მ. ტ. სადგურებში.

პურის ფასს თვითნებურად ადიდებენ

თიანეთის რაიონში გამომცხვარი პურის ხარისხის გაუმჯობესებას ყურადღებას არ აქცევენ. აქ მუდამ ერთი ხარისხის პური ცხვება. მოზელილ პურს ყრიან დიდ და უსუფთაო ფორმებში, „გამომცხვარი" ერთი პური 5—6 კილოს იწონის.

ამასთანავე უხეშად მახინჯდება პურზე ფასების საბჭოთა პოლიტიკა. ფურნის შავი პური 3 მან. და 50 კაპ. იყიდება.

საკვირველია, რატომ არ ზრუნავენ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები გამომცხვარი პურის ხარისხის გაუმჯობესებისა და დაწესებული ფასების დაცვისათვის.

შ. ხ.

ქუთაისის ახლად აგებული სამკერვალო ფაბრიკა

ამას წინად ქუთაისში დამთავრდა ახალი სამკერვალო ფაბრიკის აგება. ფაბრიკაში ამჟამად მუშაობს რამდენიმე ასეული მუშა. ფაბრიკა მექანიზირებულია და მოწყობილია საბჭოთა მანქანებით, რომლებიც უნაკლოდ მუშაობენ. ფაბრიკა ამზადებს თეთრეულებს და კოსტიუმებს.

სურათზე: ახლად აგებული სამკერვალო ფაბრიკის საერთო ხედი.

ორი კოლმეურნეობის ორი მაგალითი

(გურჯაანი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

დაახლოვებით თვენახევრის წინათ გურჯაანის პარტრაიკომმა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა სპეციალური გადაწყვეტილება გამოიტანეს მუშა - პირუტყვის განსაკუთრებული მოვლის და გამოზამთრების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად. ამ გადაწყვეტილების ძალით ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სას. საბჭოები, კოლმეურნეობები ვალდებული იყვნენ ყველა ზომა მიეღოთ მუშა-პირუტყვის მოვლის გასაუმჯობესებლად, იმ ვარაუდით, რომ მომავალ გაზაფხულზე სამუშაოზე არ გავიდეს არცერთი სუსტი მუშაპირუტყვი.

რაიკომის და რაიაღმასკომის გადაწყვეტილების შესრულების შემოწმების თვალსაზრისით ჩვენ შევამოწმეთ სოფ. გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახ. კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი"

შემოწმებამ ცხადყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის სახ. კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ხარაზიშვილი) ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში დაიწყო მუშა-პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება. ააშენეს პირუტყვის სადგომი ბინები, რემონტი გაუკეთდა მეორე ბინას. მომარაგებული და ბინებთან მიტანილია საკვები (თივა, ბზე, ნამჯა), მომვლელებად შერჩეული არიან საქმის მცოდნე და გულშემატკივარი პირები: ხანდრო ჯაჯანაშვილი, ვანო შანშულაშვილი, ლევან მურაკაშვილი, ო. მაჭავარიანი.

კოლმეურნეობის გამგეობამ პირუტყვის მომვლელთათვის შეიძინა სამურველები, „ჩოტკები", წინსაფრები.

მომვლელები პირუტყვს დღეში ორჯერ (დილას და საღამოს) ასმევენ წყალს, წმენდენ ორჯერ და დიდ მზრუნველობას იჩენენ.

პირუტყვის სადგომი ბინები ყოველდღიურობით სუფთავდება. მომვლელები მშრალი ბზის მოყრით (საღამოობით და დილით) ამშრალებენ სადგომებს.

ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობა სანიმუშოდ უვლის აგრეთვე მუშა-ცხენებს. ცხენებისათვის გამოყოფილია თბილი, სუფთა და სინათლიანი ბინა, ექვსი დასუსტებული ცხენი უკვე გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. მომვლელები — ი. მუზულიშვილი, გ. შამიაშვილი, შ. რაქვიაშვილი და შ. ხატიაშვილი თვალისჩინივით ეფერებიან [illegible]ლიან ძალზე მიმაგრებულ პირუტყვს და ყოველნაირად ცდილობენ ერთიმეორეს არ ჩამორჩენ მოვლაში. კარგი კვებისა და მოვლის შემდეგ ცხენები მომჯობინდნენ.

— ჩვენ მუშა-პირუტყვი თითქმის ყველაზე უკეთესად გვყავს მოვლილი (!) — გვარწმუნებდა კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" თავმჯდომარე ამხ. დათა ხუნაშვილი.

შემოწმებამ კი სულ სხვა სურათი გვიჩვენა.

ამ კოლმეურნეობას ჰყავს 36 სული ხარი და კამეჩი. მომვლელებად გამოყოფილია 7 კაცი, ფაქტიურად ადგილზე მუშაობს მხოლოდ სამი. პირუტყვის სადგომი ბინა 2 კვირაზე მეტია არ გაუწმენდიათ, შიგ მუხლამდე ტალახი და წყალი დგას. ბინაში არ არის გამოყოფილი ბაგები, ხარებს არ აბამენ.

როცა მომვლელს ამხ. გიგა ნაგლიჯაშვილს შევეკითხეთ რატომ სადგომებს არ ასუფთავებთო, მან გვიპასუხა:

— რით გავასუფთაოთ, არაფერი გვაქვს. მრავალჯერ მივმართეთ კოლმეურნეობის გამგეობას მოგვცეთ გასახვეტი ნიჩაბი, მაგრამ გამგეობა ჩვენს მოთხოვნას უყურადღებოდ ტოვებს.

სწორია მომვლელის წაყვედრება. ეს შემოწმებამაც დაადასტურა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ხუნაშვილი და სიმონ ხარდიაშვილი (პარტორგი) გასტროლიორებივით დროგამოშვებით ჩაუვლიან ბინებს, არ ათვალიერებენ პირუტყვს: რა მდგომარეობაშია, რა აკლია და სხვა.

გამოირკვა, რომ ღამით პირუტყვს არ აძლევენ საკვებს; გაძლიერებულ კვებაზე გადაყვანა „დაავიწყდათ". რადგან პირუტყვს ამვებულს კვებავენ, ძლიერი პირუტყვი საშუალებას არ აძლევს სუსტს თავისუფლად ჭამოს. სუსტი პირუტყვი ხშირად მთელი დღე მშიერი რჩება. ცუდი კვების გამო ძალზე დასუსტებულია ორი ხარი და სამი კამეჩი.

მომვლელებს არა აქვთ „ჩოტკები" და სამურველები, პირუტყვს სისტემატიურად არ ასუფთავებენ, წყალს მაშინ ალევინებენ, როცა მოაგონდებათ.

კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ გურჯაანის რაიონის მთელ რიგ სას. საბჭოებს და კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ არა აქვთ შეგნებული მუშა-პირუტყვის საზამთრო მოვლის უდიდესი მნიშვნელობა საგაზაფხულო სამუშაოების გეგმების შესრულების საქმეში.

ხოლო იქ, სადაც შეიგნეს პარტიისა და მთავრობის მითითებათა უდიდესი მნიშვნელობა, თავიდანვე მოკიდეს ხელი საქმეს და გულმოდგინედ შეუდგეს მუშა - პირუტყვის მოვლას.

კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" ხელმძღვანელებმა, რომლებმაც უყურადღებოდ დასტოვეს მუშა-პირუტყვის მოვლის საქმე, სათანადო პასუხი უნდა აგონ.

ვნახოთ რა ზომებს მიიღებს რაიმიწგანი.

შ. ჭოჭუა.

რატომ ჭიანურდება გეგმების დაყვანა?

ზოგიერთ საწარმოში მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრები ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი საამქრომდე, ბრიგადამდე, მუშამდე. კიდევ მეტი: არის წარმოება სადაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ მტკიცე საკონტროლო ციფრები. ასეთ მდგომარეობაშია, კერძოდ, ტფილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2.

აქ ფაბრიკის სამკუთხედმა ამ მიმართულებით მოსამზადებელი მუშაობა ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო. წარმოების კონკრეტული პირობების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საკონტროლო ციფრები, რომლის მიხედვით ფაბრიკას 1935 წლ. პირველ კვარტალში უნდა გამოეშვა 599.000 მანეთის პროდუქცია. გეგმის ეს მაჩვენებელი დეკემბრის პირველ რიცხვებში დასამტკიცებლად გაეგზავნა საქართველოს სამკერვალო მრეწველობის სამმართველოს. უკანასკნელმა ფაბრიკის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული საკონტროლო ციფრები დამაკმაყოფილებლად სცნო და ფაბრიკის სამკუთხედს მისცა წინადადება დაეყვანათ იგი თვითეულ მუშამდე.

ფაბრიკის პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გაშალეს სათანადო მუშაობა.

...მაგრამ 14 დეკემბერს სამკერვალო სამმართველოდან მოდის გეგმის ახალი ვარიანტი. იცვლება პირველად გამოგზავნილი ციფრები. ფაბრიკასა და სამმართველოს შორის იმართება დავა. ფაბრიკის ხელმძღვანელებს უნდათ გაიტანონ პირველი ვარიანტი... სამმართველოს მესვეურებს კი — მეორე.

22 დეკემბერს სამმართველოდან უგზავნიან ფაბრიკას ახალ დირექტივას 14 დეკემბერს მიცემული ლიმიტის დამუშავების შესახებ. მაგრამ არც ეს „უკანასკნელი" დირექტივა იყო საბოლოო. 22 დეკემბერს სამმართველო კვლავ აუწყებს ფაბრიკას, რომ პირველი კვარტალის გეგმის საკონტროლო ციფრი 2.300.000 მანეთის პროდუქციის გამოშვებით [illegible] 1.801.000 მანეთის პროდუქციით.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამკერვალო სამმართველოს მიერ ფაბრიკისათვის 22 დეკემბერს გაგზავნილი საკონტროლო დავალება უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. სამმართველოს მუშაკები კვლავ აგრძელებენ ბიუროკრატიულ მიმოწერას ფაბრიკასთან და 27 დეკემბერს უგზავნიან მიმართვას, სადაც წერენ:

„ა. წ. 22 დეკემბრის № 9—2—5—11-ით ჩვენ მიერ დაშვებული 1935 წლ. პირველი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმების ლიმიტების შესაცვლელად, ამასთანავე გიგზავნებათ ახალი ლიმიტები და საწარმოო პროგრამა (ცალკე სახეების მიხედვით". (ხელს აწერს მმართველის მოადგილე მიხაილოვი).

რა არის ეს, თუ არა ბიუროკრატიული დამოკიდებულება ფაბრიკისათვის ზუსტი გეგმის შედგენისადმი?

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელად გამოგზავნილ საკონტროლო ციფრებშიც არ არის გათვალისწინებული ეგრეთ წოდებული „წვრილმანები". როგორიცაა ნახევარ - ფაბრიკატების თვითღირებულება და საფაბრიკო ხარჯები. ხოლო უკანასკნელთა განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია ფაბრიკის მთლიანი საფაბრიკო გეგმის შედგენა. უამისოდ მუშებში მის დამუშავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ერთ სერიოზულ დაბრკოლებასთან გვაქვს საქმე. გეგმების ასეთი ცვალებადობის შედეგად დღემდე საწ.-საფ. გეგმა დაყვანილი არ არის საამქროებამდე და მუშებამდე. ეს კი, ცხადია, იწვევს ერთგვარ მოდუნებას წარმოების მუშებში გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის მხრივ.

უნდა აღვკვეთოთ საწ.-საფ. გეგმის ცვალებადობა. საქ. სამკერვალო სამმართველოს ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

ტერ. ნაროუშვილი

ნ. მარის ხსოვნის დღეები ლენინგრადში

ერთი თვეა, რაც ლენინის ქალაქში ტარდება აკად. ნიკო მარის ხსოვნის დღეები. ლენინგრადის თითქმის ყველა მსხვილ წარმოებაში ჩატარდა საბჭოთა მეცნიერების ამ დამსახურებული მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოები. ჯერ კიდევ ნ. მარის გარდაცვალების შესახებ ცნობის მიღებისთანავე ამხ. ს. კიროვის სახ. (ყოფ. „წითელი პუტილოველი"), ბალტიის, მარტის სახ. და სხვა ქარხნებში მოეწყო სამგლოვიარო მიტინგები. ასეთივე მიტინგები ჩატარდა მეზღვაურთა ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ნაწილებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციებში.

მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ლენინგრადის ინსტიტუტებმა ნ. მარის ხსოვნას უძღვნეს რამდენიმე სხდომა, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსები, მარის მოწაფეები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

28 დეკემბერს ნ. მარის სახელობის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიამ გამართა ნ. მარის მოგონებათა საღამო. მარის 45 წლის სამეცნიერო მოღვაწეობაზე მოგონებებით გამოვიდნენ: აკად. ჟებელევი, აკად. სამოილოვიჩი, აკად. კომაროვი, აკად. ორლოვი, აკად. მეშჩანინოვი, პროფ. შირვინდტი, პროფ. კიპარისოვი, პროფ. ორბელი, პროფესორი სტრუვე, პროფ. ლ. ბაშინჯაღიანი, ამხ. ვ. აპტეკარი, პროფ. [illegible], პროფ. იაკოვლევი და მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის მთელი რიგი პროფესორები და ახალგაზრდა პარტიელი და კომკავშირელი მეცნიერული მუშაკები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ და სწავლობდნენ ნ. მარის ხელმძღვანელობით.

2 იანვარს აგრეთვე, ლენინგრადის მეცნიერთა სახლში შესდგა ნ. მარის ხსოვნის საღამო. შესავალი სიტყვით გამოვიდა აკად. ნ. ვავილოვი, რომელმაც თავის საათ ნახევრიან სიტყვაში ვრცლად დაახასიათა ნ. მარი, როგორც მეცნიერი და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწე. სპეციალური მოხსენებებით გამოვიდნენ პროფ. ფ. კიპარისოვი, აკად. ი. მეშჩანინოვი, პროფ. [illegible], აკად. ა. სამოილოვიჩი, და პროფ. ი. ორბელი.

13 იანვარს ასეთივე საღამო მოაწყო სამეცნიერო აკადემიის აღმოსავლეთის მცოდნეობის ინსტიტუტმა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა აკად. ა. სამოილოვიჩმა. მოხსენებებით გამოვიდნენ აკად. ი. მეშჩანინოვი, აკად. [illegible], პროფ. ი. ორბელი, პროფ. [illegible] და სხვ.

ნ. მარი ღირსეულად დააფასეს ლენინის ქალაქის პროლეტარიატმა და მშრომელებმა. მისი ხსოვნისადმი ასეთი პატივისცემა ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ როგორ აფასებს მეცნიერებას პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ალ. ღლონტი.

ქუთაისში ცენტრალური ქუჩების გამწვანებას უდიდესი ყურადღება ექცევა. სურათზე: ამხ. ბერიას სახ. ქუჩაზე (ქუთაისში) გაშენებული დაფნის ხე.

წერტებზე პურის მიწოდება დღემდე არაა მოგვარებული

(ტყიბული, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ტყიბულის რაიონში პურის თავისუფალი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ არის გაშლილი სათანადოდ. რაიონში გახსნილია პურის გასაყიდი 16 წერტი. აქედან მაღაროებში — 7, ხოლო თვით ტყიბულში და რაიონის სხვადასხვა ადგილებში — 9.

ტყიბულის მაღაროებში პურის გასაყიდი წერტები მოთავსებულია უსუფთაო და უვარგის ფარდულებში. უტრანსპორტობის გამო მოუწესრიგებელია გამომცხვარი პურის სწრაფი გადაზიდვა. პურის სავაჭროების წინ ხშირად იმართება რიგები, რადგან პურის გაყიდვა იწყება დილის 12 საათიდან. მაღაროებში ნაკლები ყურადღება ექცევა პურის სუფთად შენახვას. გასაყიდ წერტებში გამომცხვარი პური ძველი ტომრებით მიაქვთ, რის გამო პური ბეწვებითაა დაფარული.

პურის გამყიდველები არ არიან სუფთად ჩაცმული. თითქმის ვერსად ვერ ნახავთ, რომ პურის გამყიდველს თეთრი ხალათები ჰქონდეს.

საერთოდ კი ახლა თვალსაჩინოდ გაიზარდა პურის რეალიზაცია. მაგ. თუ დეკემბერში ყოველდღიურად საშუალოდ იყიდებოდა 7 ტონა პური, ახლა იყიდება 9 ტონა. იანვრის პირველ დეკადაში გამოცხობილ იქნა სულ 58,6 ტონა პური, აქედან გაიყიდა 56,7 ტონა.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული ფქვილის გაყიდვის საქმე. საჭიროა ამ მხრივ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება.

ზ. მერკვილაძე

საკოლხელშეკრულებო კამპანიას არ აფასებენ

(ყაზბეგი)

კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება დაიწყო ნოემბერში. მაგრამ ყაზბეგის რაიონის პროფორგანიზაციები (კოოპერაციისა და სახვაჭრობის, მიწათმოქმედების, საფინანსო-საბ.-ნ. კო, განათლების დარგის) ხელმძღვანელებს ამ მხრივ ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. 1934 წლის კოლექტიური ხელშეკრულებები მათ არ აღმოაჩნდათ. რადგან შარშან ეს კავშირები უკოლხელშეკრულებოდ მუშაობდნენ.

უნდა გვეფიქრა, რომ ზემოხსენებული კავშირების ხელმძღვანელები შეეცდებოდნენ წარსული შეცდომების გამოსწორებას და გაშლიდნენ მუშაობას ახალ ხელშეკრულებათა დასადებად. მაგრამ ასე არ მოხდა. დღემდე არცერთ კავშირს მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე არ განუხილავს კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების საკითხი. გამონაკლის მხოლოდ ანდეზიტის სამდნობ კომიტეტი შეადგენს, რომელმაც ფართოდ გაშალა მუშაობა ახალი კოლხელშეკრულებისათვის წინადადებათა შესაგროვებლად და დროზე შეამოწმა წინა წლის ხელშეკრულების შესრულება.

რაიონის პროფრწმუნებული ამხ. [illegible] გულხელდაკრეფილი შეჰყურებს ამ მდგომარეობას.

საკოლხელშეკრულებო კამპანიის [illegible] შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს.

დროა ყაზბეგის რაიონის პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ნამდვილად გაშალონ მუშაობა კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად მუშა-მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობით. რათა არ განმეორდეს რაიონის წარსული წლების შეცდომები, როცა ადგილკომები და წარმოება—დაწესებულებები უკოლხელშეკრულებოდ მუშაობდნენ.

ა. შ.



ტფილისის „კანალტრესტის" სახელოსნო.

ლ. სალუქვაძე

ბელადის დირექტივები

ი. სტალინი საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ. ტფილისი, 1934-წ.

საქართველოს პარტგამომცემლობის მიერ გამოცემულ [აღ]ნიშნულ წიგნში მოთავსებული ამხ. სტალინის წერილების და სიტყვების მნიშვნელობა მარტო საქართველოს საზღვრებით არ ამოიწურება. ეს წიგნი ისე, როგორც ამხ. სტალინის სხვა ნაშრომები, ლენინური პარტიის „ოქროს ფონდს" შეადგენს. მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიისათვის, როგორც ბელადის დირექტივებს, მოცემულს რევოლიუციონური ბრძოლების სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა საკითხზე.

პირველი ორი წერილი — „მოკლედ პარტიულ უთანხმოებაზე" და „პასუხი „სოციალ - დემოკრატს"" 1905 წლის პერიოდს ეკუთვნის და მოცემულია პასუხს საქართველოს მენშევიკების პატრიარქის ჟორდანიას გამოსვლებზე. ნ. ჟორდანია თავის წერილებში — „რა არის პარტია" და „უმრავლესობა და უმცირესობა", ამტკიცებდა რომ „ლენინიზმი [...]რიანად ეწინააღმდეგება მარქსიზმს". ვითომც „ლენინი თხოულობს პარტიაში ინტელიგენტების გაბატონებას, და მასში სურს მხოლოდ კომიტეტის წევრები შეიყვანოს".

მეორე ყრილობის შემდეგ მენშევიკების ბრძოლაში ბოლშევიკების წინააღმდეგ ჟორდანიას გამოსვლებს სათანადო ადგილი ეჭირა და [illegible] წონაც ჰქონდა, ჟორდანიას წინააღმდეგ ილაშქრებს [არ]ა სხვა ვინმე, არამედ ამხ. სტალინი, რომელიც უკეთებს [...] ღრმა მარქსისტულ ანალიზს, მეორე ყრილობაზე წარმოქმნილ [...] ანალიზებს უმრავლესობისა და უმცირესობის [...]არის, ნათელს ხდის ლენინის პოზიციის სისწორესა და სიზუსტეს, [...] აშკარავებს მენშევიკების და მათი პატრიარქის ჟორდანიას თაღლითობას, „შარლატანობას", მათ მიერ მარქსიზმის ღალატს. ამხ. სტალინი ებრძვის ჟორდანიას და მენშევიკებს ლენინის „ისკრის" პოზიციებიდან და ეს „პაწაწინა ბერშტეინები" დღის სინათლეზე გამოჰყავს ამხ. სტალინი თავის წერილში გარკვევით სვამს საკითხს, რომ „ჩვენს პარტიაში ორგვარი მიდრეკილება გამოირკვა: მიდრეკილება პროლეტარული სიმტკიცის (ე. ი. მეუმრავლესეები, ბოლშევიკები. ლ. ს.) და მიდრეკილება ინტელიგენტური რყევის. და აი ამ ინტელიგენტური რყევის გამოხატულება დღევანდელი უმცირესობა" (გვ. 39—40). სტალინი ღრმა რწმენით ეკიდება პროლეტარიატს, მას სწამს მისი მომავალი, მისი ხელმძღვანელობა, მისი სიმტკიცე. მენშევიკები კი არ აფასებენ პროლეტარიატის როლს, „ჩვენ გვწამს, რომ პროლეტარიატი მეტ სიმტკიცეს გამოიჩენს, ვიდრე ის თქვენ გგონიათ" (გვ. 27) უპასუხებს ამხ. სტალინი ჟორდანიას, როდესაც არჩევს მუშათა მოძრაობის მეცნიერულ სოციალიზმთან შეერთების საკითხს.

აღნიშნული წერილები იმითაც არის მესანიშნავი, რომ აქ სტალინი იძლევა ძლიერ ზუსტ, მოკვეთილ ფორმულირებას პარტიული დისციპლინის შესახებ. „პარტიული დისციპლინა იგივე პარტიის სურვილებია" (სტალინი, გვ. 34). ამით ყველაფერია ნათქვამი პარტიული დისციპლინის შესახებ. ვინც პარტიის სურვილებს ემორჩილება, ის ნამდვილი პარტიულია, ვინც უგულებელყოფს პარტიის დისციპლინას, ის უგულებელყოფს პარტიის სურვილებსაც.

ამხ. სტალინის აღნიშნულ წერილებს, რომლებშიც ის არჩევდა მეორე ყრილობის მნიშვნელობას, არსებითად ყველა საკითხების არსს, აშკარავებდა მენშევიკების მიერ მარქსიზმის ღალატს და ოპორტუნიზმს — გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენი პარტიის თეორიულ-პრაქტიკული შეიარაღებისათვის. ამ წერილების საშუალებით მკითხველი ნათელ წარმოდგენას იღებს სადაო საკითხებზე. ამხ. სტალინის წერილები გადაიქცა ბოლშევიკების კატეხიზმოდ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავის „წერილებში კავკასიიდან" (რომლებიც დაიბეჭდა 1910 წელს) ამხ. სტალინი ეხება ბაქოს ორგანიზაციის მდგომარეობას, რომლის ხელმძღვანელი მაშინ ის იყო. აღწერს მუშათა კლასის ბრძოლას ნავთის მრეწველთა წინააღმდეგ და იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდნენ ბაქოს ბოლშევიკები. ერთი „წერილი კავკასიიდან" დაიბეჭდა გაზეთ „სოციალდემოკრატი"-ს დამატებაში „დისკუსიონი ლისტოკში" 1910 წ. 24 — ივნისს. იმდენად ძლიერი და მკვეთრი იყო ამხ. სტალინის ეს წერილი, რომელიც ეხებოდა მენშევიკების სოციალური ბუნების, მათი ტაქტიკის და ლიკვიდატორობის გამოაშკარავებას, რომ მას ლენინმა დიდი ყურადღება მიაქცია. ამხ. სტალინმა ამ წერილში ახსნა ტფილისში მენშევიკების მაშინდელი გავლენის მიზეზი.

„რუსეთის მუდამ (ლოცვალი და მოუსვენარი მსხვილი ბაზრებისაგან სუსტი დამოკიდებულება თბილისს დაჩავსებულობის ბეჭედს ასვამს, ის გარემოება კი, რომ თბილისში ადგილი არა აქვს მკაცრ კლასობრივ შეტაკებებსა, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ მსხვილი სამრეწველო ცენტრებისათვის, მას ხდის ჭაობის მგზავსად, რასაც სჭირდება გარედან ამოძრავება. სწორედ ამით აიხსნება რომ მენშევიზმმა, ნამდვილმა „მემარჯვენე" მენშევიზმმა ასე დიდხანს გასძლო თბილისში" (სტალინი, გვ. 57).

ჭაობის ხალხს — მენშევიკებს მხოლოდ ჭაობში შეეძლოთ ცხოვრება და არა იქ, სადაც პროლეტარიატი აწარმოებდა შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლებს. წერილში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღაბით" (დაბეჭდილია 1918 წ. გაზეთ „პრავდაში") ამხ. სტალინი ეხება ამიერ-კავკასიის თავისებურ პირობებს, როგორიც იყო ეკონომიური ჩამორჩენილობა, ნაციონალური ურთიერთობის გამწვავება, ქართველი თავადების, თათრის ბეგების და სომხის ვაჭრების ფარგლებში. აღნიშნავს ა.-კავკასიის კომისარიატის გამყიდველ პოლიტიკას და ვრცლად ჩერდება შამხორის ტრაგედიასა და საქართველოს ამბებზე. როდესაც [illegible] თათრის ბეგებთან ერთად, ჟორდანია-რამიშვილების ბრძანებით, სახლში მიმავალი მშვიდობიანი და ნაწილობრივ განიარაღებული ჯარისკაცთა ეშელონი გაანადგურეს. ამის შესახებ სტალინი სწერს: „ჩვენ ვაცხადებთ, რომ იმ პირთა შორის, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით ელისავეტპოლის ამბებში, უწინარეს ყოვლისა დასახელებული უნდა იქნეს კავკასიის სოციალდემოკრატიის ოდესღაც ყოფილი ბელადი, ამჟამად კი ეგრეთწოდებული „ქართველი ერის მამა" ნოე ნიკოლოზის-ძე ჟორდანია" (სტალინი, გვ. 85).

წიგნში მოთავსებულია წერილი 26 ბაქოელი კომისარის დახვრეტის შესახებ (პირველად წერილი გამოქვეყნდა 1919-წ. 28 — აპრილს გაზეთ „იზვესტიაში") ინგლისელი იმპერიალისტების მიერ და აგრეთვე ამხ. სტალინის დეპეშა ლენინთან, რომელშიც ამხ. სტალინი აწვდის ცნობებს და იმ პასუხს, რაც ამხ. სტალინმა მისცა ამხ. შაუმიანს. ამ პასუხში სწერია: „მოვითხოვ ბაქოს სახკომსაბჭოსაგან უყოყმანოდ გაატაროს ცხოვრებაში დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკა და გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოოს უცხოეთის კაპიტალის აგენტების წინააღმდეგ. სათანადო მისსიების წევრთა დაპატიმრებაც კი". (გვ. 99)

ძლიერ საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს მოხსენება „კომუნიზმის მორიგი საკითხების შესახებ საქართველოსა და ა.-კავკასიაში", რომელიც ამხ. სტალინმა გააკეთა ტფილისის პარტორგანიზაციის საერთო კრებაზე 1921 წლის ივლისში. ამ მოხსენებას ბევრნი ვერ იცნობენ. საჭირო კია მისი არა თუ ასეთ წიგნში შეტანა, არამედ ცალკე ბროშურადაც გამოცემა. ამ მოხსენებაში ამხ. სტალინი ეხება ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს, რომელიც მაშინ ახალ საკითხს წარმოადგენდა, აშუქებს მის მთავარ მომენტებს და სვამს საკითხს მოუშავეს—კომუნისტის ტიპის შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. აქვე ამხ. სტალინი მთელი სიმწვავით სვამს ა.-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საკითხს. მან ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ ა.-კავკასიაში მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობას „ამაოდ არ ჩაუვლია". ეწეოდნენ რა თავიანთ ნაციონალურ-შოვინისტურ პოლიტიკას, მათ მიაღწიეს იმას, რომ „მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში, ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება მოიწამლა ნაციონალიზმის შხამით და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ა.-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ძალღონის გაერთიანების საქმეში. ხოლო მე უკვე გითხარით, რომ ასეთი გაერთიანების გარეშე წარმოუდგენელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კეთილწარმატება, განსაკუთრებით საბჭოთა საქართველოს ქვეყნის წარმატება. ამიტომ კომუნისტების მორიგ ამოცანას საქართველოში წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ" (სტალინი, გვ. 116). ამხ. სტალინმა საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებშივე დაუყენა საკითხი ა.-კავკასიის ორგანიზაციებს ა.-კავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ა.-კავკასიის ფედერაცია (მიუხედავად საქართველოს „უკლონისტების" წინააღმდეგობისა) და ამხ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითვე გადაიქცა იგი მძლე საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკად, რომელსაც უდიდესი მიღწევები აქვს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ამხ. სტალინმა თავის გამოსვლებში მეთორმეტე ყრილობაზე საკმაო ადგილი დაუთმო ქართველი „უკლონისტების" პოზიციების გაშუქებას. უკლონისტები ავითარებდნენ არალენინურ შეხედულებებს. იფარებოდნენ ნაციონალიზმის გავლენის ქვეშ და იბრძოდნენ ა.-კავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ. აღნიშნულ წიგნში მოთავსებული მოხსენებები — „ნაციონალური მომენტების შესახებ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში" და „საბოლოო სიტყვა ც. კ-ის საორგანიზაციო საანგარიშო მოხსენების გამო" (მოხსენებები გაკეთებული იქნა 1923-წ. რუსეთის კომპარტიის (ბ) მეთორმეტე ყრილობაზე) იძლევიან ერთად-ერთ სწორ ანალიზს ქართველი „უკლონისტების" სოციალური ბუნების შესახებ. ქართველი „უკლონისტები" ფიქრობდნენ, მუშაობდნენ და იბრძოდნენ იმისათვის, რომ საქართველოს არ ჩამორთმეოდა ის პრივილეგია, რომელიც მას „შეეძლო დაეკავებია თავისით გეოგრაფიული მდგომარეობით" (სტ. გვ. 138). ამ „ქართველი შოვინიზმის" წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლაში ჩვენი პარტია გამარჯვებული გამოვიდა ამხ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის და მითითებების წყალობით.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია ამხ. სტალინის სიტყვები, წარმოთქმული უჯრედთა მდივნების თათბირზე 1924 წ. და რ. კ. პ. (ბ) ც. კ. პლენუმზე 1924 წ. „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ სოფლად", სადაც ამხ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის მთავარი ნაკლი სოფლად პარტიული მუშაობის სისუსტეა. ამ თავის გამოსვლებში ამხ. სტალინი ეხება 1924 წ. საქართველოში მომხდარ „აჯანყებას" და არკვევს მის გამომწვევ ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზებს.

„ჩვენ გაზეთებში სწერენ ბუტაფორიული გამოსვლების შესახებ საქართველოში. ეს მართალია, ვინაიდან საერთო აჯანყება საქართველოში იყო ხელოვნური, არა [...] ხალხო, მაგრამ ზოგიერთ ადგილას მენშევიკებმა შესძლეს კომპარტიის უხეირო კავშირის გამო მასასთან, გლეხთა ამ მასის ნაწილი ჩაებათ „აჯანყებაში"" (სტალინი, გვ. 172). გლეხობისადმი მიდგომის ძირფესვიანად შეცვლა, უპარტიო მასებისადმი ანგარიშის გაწევა, საბჭოების გამოცოცხლება — აჲ [illegible] ბელადის დირექტივები.

გარდა აღნიშნულ წერილებისა, წიგნში მოთავსებულია სიტყვები და წერილები კოლექტივიზაციის შესახებ და საბოლოო სიტყვა მეთექვსმეტე ყრილობაზე. დამატებაში შეტანილია ლენინის წერილი კავკასიის კომუნისტებს, და კავ. ბიუროს რეზოლიუცია, რომელიც მიღებულია ამხ. სტალინის და ო. ჯონიკიძის თანდასწრებით ტფილისში 1921 წელს, რეზოლიუციაში კატეგორიულად აღნიშნულია — „დასტურდება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა (საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა". აქვეა (დამატებაში) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენ. კ-ის რეზოლიუცია ა.-კავკასიის პარტორგანიზაციების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ (1929-წ. და 1931 წ. ოქტომბრის დადგენილება).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წიგნის გამოცემით პარტგამომცემლობამ დიდი საქმე გააკეთა. მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუაროთ ერთ საკითხს. წიგნი სავსეა კორექტურული შეცდომებით, რაც დიდ ზიანს აყენებს წიგნს. მაგ. ნაცვლად „მუშათა" არის „უშათა" (გვ. 46). და სხვ.

ეს წიგნი უნდა გახდეს სამაგიდო წიგნად ყოველი პარტკომიტეტის აქტიურის, მუშაკის, პროპაგანდისტის და მეცნიერული მუშაკებისათვის „ლენინიზმის საკითხებთან" ერთად. ის დიდ დახმარებას გაუწევს ამხანაგებს საერთო თეორიული ცოდნის შეძენის მხრივ და, კერძოდ, საქართველოსა და ა.-კავკასიის მთელ რიგ სპეციალურ საკითხების გარკვევაში.

ა.-კ. ბოხტნეულის სამეცნიერო-საკვლევო სადგურმა დაამთავრა მუშაობა ლიმონის, მანდარინის და ციტრუსების კანიდან ეთეროვანი ზეთის მისაღებად. სურათზე: ქიმიკოსი ამხ. ნეპპო, რომელიც მუშაობს ციტრუსების ნარჩენთა გამოყენებაზე.

საბჭოთა კინომატოგრაფიის ახალი გამარჯვება

22 იანვარს კინო „ოქტომბერში" საქართველოს სახკინმრეწვის მუშაკებმა განიხილეს ახალი დიდი ხმოვანი ფილმი „კიროვი".

ფილმში ასახულია ს. მ. კიროვის მუშაობის ყველა ეტაპი: კიროვი მე-11 არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოში, კიროვი—აზერბეიჯანის ბოლშევიკების ბელადი, კიროვი ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის სათავეში, კიროვი თეთრი ზღვის არხის მშენებლობაზე, კიროვი ძლევამოსილი ოქტომბრის მეზღვართა ტრიბუნი.

ჩრდილოეთ-ოსეთის კოლმეურნეთა დელეგაცია მოსკოვში

ჩრდილოეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხოფელ ფარსკის კოლმეურნეობამ, რომელმაც წელს დიდძალი მოსავალი მიიღო, თავისი დელეგაცია გაგზავნა მოსკოვში ამხ. კალინინთან. დელეგაციაში შედიან: ბელოცკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ისლამ გუბუვი, ხარისხის ინსპექტორი ციმურზა ცორაევი, კოლმეურნეობის დამკვრელები: ხატუ ცხილოვი და ოლინკა დაუევა. ისინი ჩავიდნენ მოსკოვში იმ მიზნით, რომ ამხ. კალინინისათვის მიერთვათ ერთი შრომა-დღეზე მიღებული ქირნახული. მათი შრომადღე კი ახე ბარაქიანი მოხდა წელს: 25 კილო ხიმინდი, 55 კილო კარტოფილი, 1 კილო და 900 გრამი ხორბალი, 23 გრამი ყველი, 20 გრამი ხორცი, 200 გრამი მატყლი, 200 გრამი ლობიო, 18 კილოგრამი საზამთრო, კომბოსტო, პამიდორი და სხვა ბოსტნეული და ფულად 85 კაპეიკი.

სურათზე: კოლმეურნეობის დელეგაცია ერთ შრომა-დღეზე მიღებული ქირნახულით.

მუსიკოს-შემსრულებელთა სრ. საქართველოს კონკურსის შედეგები

21 იანვარს სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა მუსიკოს-შემსრულებელთა შემრიგე სრულიად საქართველოს კონკურსის ჟიურის სხდომა, კონკურსის ორგ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ბოკერიას მოხსენების გარდა ...

ჟიურიმ დაგმო აგრეთვე პოზების მანერულობა, თვალის ძიძუდა, ხელის ალპყრობა და ბურჟუაზიული ესტრადის სხვა ხერხები, რომლებიც ზოგიერთებს ემჩნეოდა და რომლებიც შეუწყნარებელია საბჭოთა კონსერვატორიის კედლებში.

შემდეგ ჟიური შეუდგა მუსიკოსთა საკავშირო კონკურსზე უფრო ღირსეული შემსრულებლების გაგზავნის საკითხის განხილვას. ერთხმად გადაწყდა გაიგზავნოს საკავშირო კონკურსზე დამკვრელი ორივე ახალგაზრდა—ვიოლონჩელისტი გ. ბარნაბაშვილი და ა. ჩიჯავაძე და ვიოლინოზე დამკვრელი ი. პოგოსოვი.

პიანისტ ქალებიდან გადაწყდა გაიგზავნოს ლენინგრადში პროფ. ვირსალაძის კლასის სტუდენტი ქ. შამირანაშვილი და კონსერვატორიის ასპირანტი ქალი მ. ეგტიშვილი.

პიანისტი ქალები ე. მალხასიანი, ე. მანდენოვა, და ე. ოთაროვა დამატებით დაუკრავენ ჟიურის წევრთა დასწრებით.

ვოკალისტებიდან გადაწყდა ლენინგრადში გაიგზავნონ მომღერლები ტოროშელიძე და ყიფიანი პროფ. ერონსკის კლასიდან, მომღერალი გამრეკელი და მომღერალი ქალები ნაკაშიძე და ლაპიაშვილი პროფ. შულგინის კლასიდან და მომღერალი ქალი ხაჩიკიანი დოცენტ მიხალსკაიას კლასიდან.

სხვა უფრო ნიჭიერ შემსრულებელთა—მომღერალ ქალების მიხალსკაიას, ცურკვიძის, ბარაძის, მომღერალ ყვარელაშვილის და პიანისტ—ქალ შიუკაშვილის—მუსიკალური დონის ამაღლების მიზნით, გადაწყდა გაგზავნილ იქნან ისინი ლენინგრადში კონკურსზე დასასწრებლად. გამოიყო კომისია პროფესორების ...

ჩავაბაროთ კოლმეურნეებს სახელმწიფო ქუთვნილი ობლიგაციები

მეორე ხუთწლედის მეორე წლის სესხზე ხელმოწერილი თანხა კოლმეურნეებმა მთლიანად უნდა გადაიხადონ 1 იანვრამდე. ფაქტიურად 1 იანვრისათვის კოლმეურნეებს საქართველოში დაფარული ჰქონდათ ხელმოწერილი თანხის მხოლოდ 78,7 პროც. 6.080 ათას მანეთიდან შეტანილი ჰქონდათ შემნახველ სალაროებში 4.787 ათასი მანეთი.

ფინსახკომის და შემნახველი სალაროების სამმართველოს დადგენილებით 15 იანვრიდან 1 თებერვლამდე შემნახველ სალაროები მთელ საქართველოში შეამოწმებენ, დაურიგეს თუ არა კოლმეურნეებს ობლიგაციები.

ქ. ლ—ია

ტექნიკური გამოცდები წამყვან სპეციალობათა მუშებისათვის

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების შესრულების შედეგების შეჯამების და მუშების მიერ ტექმინიმუმის დაუფლების ხარისხის შემოწმების მიზნით მძიმე მრეწველობის კომისარიატი მიმდინარე წლის პირველ თებერვლიდან 30 მაისამდე მძიმე მრეწველობის ყველა საწარმოებში ატარებს სახელმწიფო ტექნიკურ გამოცდებს. გამოცდები შეეხება 255 წამყვან სპეციალობის ყველა მუშას.

საკავშირო საშაშო ტურნირში გამარჯვებული ამხ. ჩიმკოვსკი (მოსკოვი).

მოზარდ მუშების საქმეთა შემოწმება

საქ. ჯანსახკომის დედათა, ბავშთა და მოზარდთა ჯანდაცვის სამმართველო ა.-ლ. ც. ს.-თან და პროფსაბჭოსთან ერთად შეუდგა საქართველოს ყველა რაიონში მოზარდ მუშათა ჯანმრთელობის შემოწმების სამზადისს.

თათბირი ჟანრითოლოგის საკითხებზე

გაზეთ საწოლ„ის გამოცემა

ლიტქრონიკა

25 იანვარს მწერალთა სასახლეში ამხ. მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობით, გაიხსნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ მოწვეული რესპუბლიკური თათბირი მარქსისტულ-ლენინურ სალიტერატურო კრიტიკის საკითხებზე.

დღის წესრიგი:

1. ქართული სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა და ამოცანები—მომხ. ამხ. დ. დემეტრაძე. 2. ლიტერატურათმცოდნეობის ფრონტი საქართველოში — მომხ. ამხ. ბენ. ჟღენტი.

ახალი წიგნები

—ლიტერატურულ კრიტიკული წერილების კრებული ვ. ლუარსაბიძის საერთო რედაქციით. კრებულში მოთავსებულია ბ. ბუაჩიძის, ვ. ლუარსამიძის, ალ. სულავას, გ. ნატროშვილის, მებუკეს, ერ. ძიძვაძე-... და მკითხველების წერილები. პოლიტკატორღელთა საზ-ბის გამოცემა. ფასი 5 მან.

მიხ. შოლოხოვი — ჯანტოილი ყამირი თარგმანი არისტო ჭუმბაძის, გამოცემა სახელგამის. ფასი ყდით 7—40 კაპ.

პ. საყვარელიძის — დაფიქრული ფურცლები. წიგნი პირველი გამოცემა მესამე. გამომცემლობა პოლიტკატორღელთა საზოგადოების. დასურათებული დ. ჯაფლისანის მიერ. ფასი ყდით 10 მან.

პარტკალენდარი

— 25 იანვარს, საღამოს 6 საათზე ლენრაიკომის ბინაზე მოწვეულია პარტიული მშენებელთა და პროპაგანდისტთა რაიონული კონფერენცია.

დღის წესრიგი: პარტგანათლების ქსელის, სკოლების და წრეების მეცადინეობის მსვლელობა 4 თვის განმავლობაში. მომხ. გ. ახალაძე.

პარტკომის მდივნების, პროპაგანდისტების და პოლიტსკოლების მშენებელთა დასწრება სავალდებულოა.

— 25 იანვარს საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ძნელაძის ქ. № 30) შედგება სემინარის მეცადინეობა პარტკომკავშირული ქსელის მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტთათვის. თემა: სტალინი სამოქალაქო ომის ფრონტზე გამარჯვებათა ორგანიზატორი.

— თერჯოლის სახ. რაიკომი იუწყება, რომ ა.-წ. 26 იანვარს საღამოს 7 საათზე შედგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა საკანდიდატო პარტსკოლების, დაწყებითი პარტსკოლების და მარქსიზმ-ლენინიზმის წრეების ხელმძღვანელთათვის. სავალდებულოა ყველა პროპაგანდისტის გამოცხადება.

— საქ. კპ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აღრიცხვის სექტორი სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ ცენტრალურ კომიტეტში (ოთახი № 58) შუადღის 12 ...

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1935 წელს საბინაო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსალებით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების დაბეგვრის შესახებ

„ქალაქებსა და სოფლებში საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი 1935 წლის გამოსალების შესახებ" სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1935 წლის იანვრის 14-ის გამოცემული დადგენილების (სსრკ ც. ა.-კ. ის „იზვესტია" 1935 წ. № 13) და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 19-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა" 1934 წ. № 19) თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსალები 1935 წელს ჩატარებულ უნდა იქნეს, ქვემოთ აღნიშნულ საფუძველზე, სოფლად, საგარაკო ზონაში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც სასოფლო მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობა 1934 წელს დაბეგრილი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

შენიშვნა: ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გამოსალებით, ამ დადგენილების წესისამებრ, იბეგრებიან მხოლოდ ის მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს დაბეგრილი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან რაიმე შეღავათის გამო განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან.

2. გამოსალებით დაიბეგრებიან:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

ბ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი.

3. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი იბეგრებიან გამოსალებით შემდეგი რაოდენობით:

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რაიონების დასახელება	კოლმეურნეთა მეურნეობანი: რომელთაც არა აქვთ შემოსავალი სამეურნეო წყაროებიდან	კოლმეურნეთა მეურნეობანი: რომელთაც აქვთ შემოსავალი სამეურნეო წყაროებიდან	ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს დაბეგრილი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მტკიცე განაკვეთების კვალობაზე: რომელთაც არა აქვთ მუშა-საქონელი და არა აქვთ საბაზრო და არც სამიწათმოქმედო შემოსავალი	ერთპიროვნული მეურნეობანი (მტკიცე განაკვეთები): რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი ან აქვთ საბაზრო ან სამიწათმოქმედო შემოსავალი	ერთპიროვნული მეურნეობანი (მტკიცე განაკვეთები): რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი	ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს დაბეგრილი იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე: რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონელი და არა აქვთ არც საბაზრო და არც სამიწათმოქმედო შემოსავალი	ერთპიროვნული მეურნეობანი (პროგრესიული განაკვეთები): რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი ან აქვთ საბაზრო ან სამიწათმოქმედო შემოსავალი
1. აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.	7 მან.	30 მან.	38 მან.	43 მან.	85 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 85%, ხოლო არა ნაკლებ 43 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 130%, ხოლო არა ნაკლებ 30 მანეთისა.
2. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხარაგოულის, ჭიათურის, ჩხარის, ტყიბულის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის.	7 მან.	25 მან.	35 მან.	40 მან.	75 მან.	1934 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის განაკვეთი 80%, ხოლო არა ნაკლებ 40 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 120%, ხოლო არა ნაკლებ 75 მანეთისა.
3. თელავის, საგარეჯოს, აღბულახ-მანგლისის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის, სტალინისის, ბორჯომის ხაშურის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, მარტვილის, ...ენაკის, ზობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის.	7 მან.	30 მან.	40 მან.	47 მან.	85 მან.	1934 წლის სასოფლოსამეურნეო გადასახადის განაკვეთის 85%, ხოლო არა ნაკლებ 47 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასადის განაკვეთის 130, ხოლო არა ნაკლებ 85 მანეთისა.
4. ტფილისის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბაღდადის, ზუგდიდის.	7 მან.	35 მან.	50 მან.	57 მან.	95 მან.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 90%, ხოლო არა ნაკლებ 57 მანეთისა.	1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 145%, ხოლო არა ნაკლებ 95 მანეთისა.

კულაკური მეურნეობანი იხდიან 1934 წლის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200 პროცენტს.

4. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიულად დაბეგრილ მეურნეობათა გარდა, კოლმეურნისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნის მეურნეობას, რომელსაც ორზე მეტი არაშრომუნარიანი წევრი ჰყავს, გამოსალების რაოდენობა შეუმცირდება—როდესაც 3 არაშრომუნარიანი ...

8. თვითეულ რაიონსა და სასოფლო საბჭოში ან თვითეულ სოფელში განაკვეთების დადგენის დროს უცვლელად უნდა დარჩეს მეურნეობათა თვითეული ცალკე კატეგორიისათვის გამოსალების საერთო თანხა, იმ საშუალო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრული ...

11. გამოსალებისაგან განთავისუფლდებიან კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი:

ა) ზემო-სვანეთის რაიონისა;

ბ) ყველა იმ სოფლისა, რომელიც შედის დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების შედგენილობაში;

12. ... შედგენილობის პირი და აგრეთვე შრომა-განსწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი;

ა) ყოფილი წითელგვარდიელი და წითელი პარტიზანი;

თ) ომისა და შრომის ინვალიდი, რომელიც მიკუთვნებულია ინვალიდობის პირველი, მეორე და მესამე ჯგუფისათვის.

13. მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიც შედიან სამხედრო მსახური და სხვა, მე-12 მუხლში ჩამოთვლილი, პირნი, აქვთ შემდეგი შეღავათები:

ა) მეურნეობა მთლად განთავისუფლდება გამოსალებისაგან, უკეთუ ის 1934 წელს განთავისუფლებული იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან;

ბ) სხვა შემთხვევაში მეურნეობას ემცირდება გამოსალები გამონაკლისობით განაკვეთის 20 პროც. დაკლებით, ხოლო უკეთუ მეურნეობაში არ არის მე-12 მუხლში ჩამოთვლილთა გარდა, სხვა შრომის უნარიანი წევრი,—40 პროცენტის დაკლებით.

14. სასოფლო საბჭოს შეუძლია განათავისუფლოს გამოსალებით დაბეგვრისაგან ...

1935 წ. იანვარის 23.

ზიჩი — ... რეზერვში მყოფი სამხედრო მსახური;

ე) საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შედგენილობის პირი, რომელიც გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში იმყოფება და, „თავდაცვა-ავიაქიმის" ორგანიზაციის საშტატო მომუშავის სახით, ატარებს ...

„კომუნისტი" 1935 წლისათვის